ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 4 ოქტომბერი, 2019 №235 (8189) ფასი: 60 თეთრი

„დღეს ღამის 3 საათზე დაგირეკავ და მზად იყავი“

ლურჯი ვეშაპის სკანდალური შეტყობინებები ქუთაისელ მოსწავლეებს

გვ.5

1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე

რჩეული ნოველები

ორტომეული ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

სანდრო ბრეგაძე: „მეკითხებიან, სააკაშვილი ქართული მარშის წევრი ხომ არ გახდაო?“

გვ.3 „ხაზარაძე ივანიშვილს ბაძავს, მაგრამ ის კომიკური პერსონა გახდა“

მამუკა ხაზარაძე: „მაია ცქიტიშვილი შეიძლება კარგად აცხობს ხაჭაპურს, მაგრამ წარმოდგენა არ აქვს, რა არის ინფრასტრუქტურა“

მაია ცქიტიშვილი: „მამუკა ხაზარაძისგან განსხვავებით, კარგად ვაცხობ ხაჭაპურს და პორტსაც ავაშენებ“

გვ.2

ზაალ უდუმაშვილი: „ცოტა შეურაცხყოფილიც ვიყავი, პროკურატურაში აქამდე რომ არ დამიბარეს“

გიორგი ლაფერაშვილი: „პროკურატურაში დაბარებას ტელეკომპანია „ფორმულის“ ეთერში გასვლას ვუკავშირებ“

გვ.2



გვ.4

გია ბარამიძე: „რა პრობლემასაც ივანიშვილი გვიქმნის, ის უნდა დავუტრიალოთ“

გვ.3

ბექა ნაცვლიშვილი: „ცხრა წელზე საუბარმა შეიწირა ყველაფერი“

„სააკაშვილმა ბოკერია პოლიტიკურად გაანადგურა“



გვ.4

სამართალი გვ.5

ადვოკატი გასილაია: „ფორმულის“ გენდირექტორმა ყველა კითხვას პასუხი გასცა“

„პრეზიდენტ ზურაბიშვილთან კომუნიკაცია არ მქონია“

ასლან ბეჟანიძის დედა თამარ მუქერია პროკურატურამ გამოკითხა

სამეგრელოსა და ქვემო ქართლში 7 პირი დააკავეს

5 ზვიად კუპრავა გამამტყუნებელ განაჩენს გაასაჩივრებს

3 დეკანოზი გიორგი მამალაძე: „სიბინძურეში გახვეულ ადამიანებს წყალობას არ ვთხოვ“

6 პიტბულმა ბავშვები საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა

7 ლივერპულმა მძიმედ იმარჯვა, ნაპოლიმ წაიბორძიკა

ISSN 1987-9385

ზაალ უდუმაშვილი: „ცოტა შეურაცხყოფილიც ვიყავი, პროკურატურაში აქამდე რომ არ დამიბარეს“

გიორგი ლაფერაშვილი: „პროკურატურაში დაბარებას ტელეკომპანია „ფორმულის“ ეთერში გასვლას ვუკავშირებ“

გუშინ, 3 ოქტომბერს, ტელეკომპანია „ფორმულის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი გიორგი ლაფერაშვილი და ნაციონალური მოძრაობის წევრი ზაალ უდუმაშვილი გენერალურ პროკურატურაში გამოკითხვაზე დაიბარეს.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, საქმე ეხება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, მისი კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისების და ქონების მოჩვენებითი ან/და თვალთმაქ-

ცური გარიგებით გადამალვის ფაქტზე მიმდინარე გამოძიებას.

გუშინვე საღამოს ორივე პიროვნება გამოკითხვაზე მივიდა.

– არ ვიცი, ქალბატონ ნიჟარაძეს რომელი თანხები აინტერესებს – არის ეს მისი ყოფილი მეუღლის მიერ ჩემთვის მოცემული პრემიები, თუ ნიკა გვარამიას მიერ მოცემული. არ ვიცი, რაშია საქმე, თუმცა ფაქტია, რომ ეს ყველაფერი აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ეთერში გავიდა ტელეკომპანია „ფორმულა“.

ეს განცხადება გიორგი ლაფერაშვილმა პროკურატურაში მისვლის შემდეგ გააკეთა.

ამით ის „რუსთავი 2“-ის ყოფილ მეწილეს ნინო ნიჟარაძეს გამოეხმაურა, რომელმაც წარსულში „რუსთავი 2“-ისა და სარეკლამო სახლ „ინტერმედიის“ ურთიერთობის თაობაზე პროკურატურას მიმართა.

– ჩვენ ვნახეთ, რამდენი საათი გაგრძელდა გუშინ ტელეკომპანია „ფორმულის“ დირექტორ ზუკა გუმბერიძის დაკითხვა და ვიცით ისიც, თუ როგორი არაფრის მომტანი იყო ეს ყველაფერი. სავარაუდოდ, პროკურატურამ დღეს გადაწყვიტა, რომ ანალოგიურად მოიქცეს ჩემთან დაკავშირებით. თუ მკითხავთ, რას ვუკავშირებ აქ მოსვლას, მე აქ მოსვლას ვუკავშირებ უშუალოდ ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში გასვლას, – აღნიშნა გიორგი ლაფერაშვილმა.

განცხადება ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ზაალ უდუმაშვილმაც გააკეთა.

– არ აქვს მნიშვნელობა, რა კითხვა დაისმება ჩემ მიმართ. მთავარი არის ის, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს პოლიტიკური დევნა როგორც პოლიტიკოსების, ასევე ყველა ოპოზიციური მედია არხის, რომელიც დღეს ფუნქციონირებს, – თქვა მან პროკურატურაში შესვლამდე.

პოლიტიკოსის განმარტებით, პროკურატურაში მიმდინარე გამოძიება არის წმინდა წყლის პოლიტიკური საქმე და ის თავს შეურაცხყოფილად გრძნობს იმით, რომ მისი დაბარება პროკურატურაში აქამდე არ მოხდა.

– იმას, რაც დღეს პროკურატურაში ხდება, არ აქვს კავშირი არც სამართალთან, არც გამოძიებასთან, და არაფერთან. ეს არის წმინდა წყლის პოლიტიკური საქმე. და ზოგადად, ჩვენს ქვეყანაში აქტიური პოლიტიკოსების ნაწილი ციხეში ზის, ნაწილს სამაჯური დაადეს, რომ მოძრაობა შეუზღუდონ და 20 ივნისის ჩვენი პატრიოტი ახალგაზრდები სხედან ციხეში გამოკეტილები.

მედიამენეჯერებს დასდევენ და ყოველდღიურად დაჰყავთ დაკითხვაზე, ეს ის მედია მენეჯერები არიან, რომლებიც კრიტიკულ და ოპოზიცი-

ურ ტელევიზიებს აკეთებდნენ. ამ ფონზე ჩემი დაბარება-არდაბარება კი არ არის საქმე, ზოგადად არც კი ვიცი, რა კითხვები შეიძლება ჰქონდეთ ჩემთან, მაგრამ მაინც მოვედი.

სიმართლე გითხრათ, ცოტა შეურაცხყოფილიც ვიყავი, აქამდე რომ არ დამიბარეს, მაგრამ არ აქვს მნიშვნელობა რა კითხვა დაისმება ჩემ მიმართ, მაგრამ ის ძაფი, რომელსაც ქართველი ხალხის ნერვი ჰქვია, ძალიან მალე გაწყდება და ამ შენობაში იმ ხალხს მოუწევს სიარული, ვინც დღეს ბარიკადების მიღმა დგას, – განაცხადა ზაალ უდუმაშვილმა.

მამუკა ხაზარაძე: „მაია ცქიტიშვილი შეიძლება კარგად აცხობს ხაჭაპურს, მაგრამ წარმოდგენა არ აქვს, რა არის ინფრასტრუქტურა“

მაია ცქიტიშვილი: „მამუკა ხაზარაძისგან განსხვავებით, კარგად ვაცხობ ხაჭაპურს და პორტსაც ავაშენებ“

მაია ცქიტიშვილი შეიძლება კარგად აცხობს ხაჭაპურს, მაგრამ წარმოდგენა არ აქვს, რა არის საერთოდ ინფრასტრუქტურა.

ამის შესახებ მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ გუშინ, 3 ოქტომბერს, ჟურნალისტებს მოძრაობის კიდევ 12 წევრის წარდგენის შემდეგ განუცხადა.

კითხვაზე, ვის გულისხმობდა შესავალ სიტყვაში მამუკა ხაზარაძე, როცა თანამდებობის პირებსა და მათ მიერ საქმის კეთებაზე საუბრობდა, ხაზარაძემ უპასუხა, რომ ნებისმიერს.

– თუნდაც მაია ცქიტიშვილს, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს, რა არის საერთოდ ინფრასტრუქტურა. შეიძლება კარგად აცხობს ხაჭაპურს, მაგრამ მე არ ვიცი, რა გამოცდილება ჰქონდა მას წინა ცხოვრებაში, როცა ამ მილიარდებს აბარებენ.

შეიძლება ეს იყო გამოწვეული იქიდან, რომ ბიძინა ივანიშვილს ჰგონია, რომ მაია ცქიტიშვილის ხელში თანხა არ დაიკარგება კორუფციული თვალსაზრისით, მაგრამ მას ვურჩევ, ჩაიხედოს, როგორ მიდის ტენდერები, ჰკითხოს კერძო კომპანიებს, თუ რანაირი ტიპის კორუფციაა გასული ინფრასტრუქტურის სისტემაში. ამ ყველაფერზე ჩვენ პასუხს მოვთხოვთ ყველას აბსოლუტურად, – განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

კითხვაზე, გულისხმობს თუ არა იმას, რომ მაია ცქიტიშვილი კორუმპირებულია, ხაზარაძემ აღნიშნა, რომ „ამას ვერ იტყვის“.

– მაიაზე ამას ვერ ვიტყვი. ასეთი ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ დადასტურებულად გეუბნებით, რომ ტენდერები ქვემოთ არ ტარდება გამჭვირვალედ. ეს არის ფიქცია. დაახლოებით იმავე პროცესს ჰგავს – ჩვენ სასამართლოს მოსამართლეების დამტკიცების პროცედურა მოგვახვიეს თავზე, რომ ვითომ ეს არის გამჭვირვალე. სინამდვილეში ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ გადაიბარა სააკაშვილის მოსამართლეები და მოსამართლეები არიან ხელისუფლების მოსამართლეები, პროკურორები კი არიან ხელისუფლების პროკურორები, – განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

მამუკა ხაზარაძის სიტყვებს მაია ცქიტიშვილი გუშინვე გამოეხმაურა.

– დიახ, მამუკა ხაზარაძისგან განსხვავებით, კარგად ვაცხობ ხაჭაპურს, ვაშენებ გზებს და თუ საჭირო გახდა, ანაკლიის პორტსაც ძალიან კარგად ავაშენებ, – თქვა მან.

ინფრასტრუქტურის მინისტრმა გოგონებს მოუწოდა, მსგავსი ტიპის განცხადებებს არასდროს შეუშინდნენ და ყოველთვის აკეთონ ის საქმე, რაც უყვართ.

– რაც შეეხება ხაჭაპურს და კულინარიას, დიახ, გაგიკვირდებათ და მამუკა ხაზარაძისგან განსხვავებით, კარგად ვაცხობ ხაჭაპურს, კარგად ვაკეთებ ჩემს საქმეს, ვაშენებ გზებს და თუ საჭირო გახდა, ძალიან კარგად ავაშენებ პორტს.

მე მინდა მოვუწოდო ყველა გოგონას, ყველა ახალგაზრდა ქალბატონს, რომ არ შეუშინდნენ ასეთი ტიპის განცხადებებს. ასეთ დამოკიდებულებას და გააკეთონ ის საქმე, რომელიც მათ უყვართ. მიხედონ თავის ოჯახს და, რა თქმა უნდა, ქვეყანას, – განცხადა ცქიტიშვილმა.

კითხვას, ასახავს თუ არა ეს განცხადება ხაზარაძის მსოფლმხედველობას, ცქიტიშვილმა უპასუხა: „კარგი კითხვაა და, მე მგონი, ამ კითხვაში არის პასუხიც“.

ზალკალიანი: „ლავროვთან შეხვედრა შვეიცარიელების ინიციატივით შედგა“

გუშინ, 3 ოქტომბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა რუს კოლეგა ლავროვთან შეხვედრის შესახებ ისაუბრა.

– რამდენიმე დღით ადრე მქონდა შეხვედრა შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, რომელმაც აღნიშნა, რომ ხომ არ იქნებოდა განხილული ჩვენი მხრიდან ამ შეხვედრის შესაძლებლობა გაეროს ფორმატის ფარგლებში, შვეიცარიელების ინიციატივით, მათი ორგანიზებითა და შუამდგომლობით. დავთანხმდით ამ შეხვედრაზე, – განაცხადა ქართველმა დიპლომატმა.

მისი თქმით, ამას მოჰყვა ოფიციალური განცხადებები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან, სადაც წერია, რომ შეხვედრა შვეიცარიის ინიცირებული იყო.

– პირველი იყო შვეიცარიის განცხადება და ამას მოჰყვა კიდევ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე განცხადება, სადაც ამაზე ასევე არის საუბარი. დღეს რომ მკითხოთ, იმავე ნაბიჯს აუცილებლად გადავდგამდი, – აღნიშნა ზალკალიანმა.

მან ისაუბრა იმის შესახებ, თუ რატომ არ იყო საზოგადოება ამ შეხვედრის შესახებ ინფორმირებული.

– მე წინა დღეს, როდესაც მქონდა შეხვედრა ატლანტიკური საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების ფარგლებში, იმ შეხვედრიდან გამოსვლისთანავე, თუ არ ვცდები, ერთ-ერთი ტელევიზია დამხვდა და მას მივეცი ინტერვიუ – მათ ძალიან მკაფიოდ განვუცხადე, რომ ჩვენ ვფიქრობთ და, შესაძლოა, პოზიტიური ნაბიჯი გადავდგათ ამ კომუნიკაციასთან მიმართებით, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მანვე უპასუხა კითხვაზე, იყო თუ არა სერგეი ლავროვთან შეხვედრაზე განხილული ავიამიმოსვლის აღდგენის საკითხი.

– რა თქმა უნდა, იყო ამაზე საუბარი და, ბუნებრივია, მივესალმეთ. ფრენებთან დაკავშირებით ამ შეხვედრის წინა დღეს გაკეთდა კომენტარი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მხრიდან. ჩვენ მხოლოდ მივესალმებით ამას, – აღნიშნა ზალკალიანმა.

ნაირა ოტიაშვილს 15 ადვოკატი იცავს

თემქაზე 20 წლის ანა ნაცვლიშვილის მკვლელობაში მსჯავრდებულ ლადო გრიგალაშვილის ადვოკატ ნაირა ოტიაშვილს 15 ადვოკატი იცავს.

ბრალდებულ ნაირა ოტიაშვილისა და მასთან ერთად დაკავებული დედა-შვილის, სვეტლანა ბეკერისა და მანია ავდალოვას სასამართლო პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ, 3 ოქტომბერს, გაიმართა.

სხდომას დაესწრო თემქაზე მოკლული 20 წლის ანა ნაცვლიშვილის მამა, მამუკა ნაცვლიშვილიც.

სასამართლო პროცესმა ნერვიულად ჩაიარა.

ბრალდებულის ადვოკატების გაღიზიანება პროკურორის რეპლიკამ გამოიწვია. საქმის ერთ-ერთმა პროკურორმა ადვოკატებს მიმართა, რომლის მიხედვითაც, მას შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ისინი პროცესზე პირველად იმყოფებოდნენ.

– აქ პირველად პროცესზე არავინაა, – განაცხადა ერთ-ერთმა ადვოკატმა.

ამასთან, საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ბრალდებულმა ნაირა ოტიაშვილმაც და მან მოსამართლის აცილება მოითხოვა.

– ჩვენ ქურდულს ვერ მივაწვებით, მართლმსაჯულების სამსახურში ვართ, – განაცხადა ნაირა ოტიაშვილმა და განმარტა, რომ საკუთარ უფლებებს კოლეგებთან ერთად დაიცავს, იმ შემთხვევაშიც კი, წამებასაც რომ ჰქონდეს ადგილი.

ნაირა ოტიაშვილმა ასევე მოსამართლე ნინო ჩახნაშვილის აცილება მოითხოვა.

– ნამდვილად გაქვთ საფუძველი, აიცილოთ საქმე. ვინც არის დამნაშავე, უნდა დაისაჯოს. თუ მე დამნაშავე ვარ, განმსაჯოს სამართლიანმა სასამართლომ. ჩემს უფლებებს დავიცავ ჩემს კოლეგებთან ერთად, წამების შემთხვევაშიც, – განაცხადა ოტიაშვილმა.

ნაირა ოტიაშვილს ბრალი ოფიციალურად 2 ოქტომბერს წარუდგინეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, დედა-შვილი და მათი ადვოკატი ნაირა ოტიაშვილი თბილისში მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, მათ ბრალად ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით ჩადენილი ცრუ დასმენა ედებათ.

ავიაგადაზიდვების ბიზნესს გია ვოლსკი აკონტროლებს

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ გავლენიანი დეპუტატი გია ვოლსკი მთლიანად აკონტროლებს ქვეყნის შიგნით არსებულ ავიაგადაზიდვების ბიზნესს.

ტელეკომპანიის ინფორმაციით დეპუტატი ყველაფერს აკეთებს კუთვნილი ბიზნესისთვის სახელმწიფო ფინანსების გამოყოფისთვის.

საუბარია 70 მილიონ ლარზე, რომელიც სახელმწიფომ ნატახტარის აეროპორტისა და კომპანია „აკიარისთვის“ ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში გაიღო.

ავიაკომპანიის მფლობელი ამირან მანჯავიძე გია ვოლსკის ბავშვობის მეგობარია.

„მთავარის“ ინფორმაციით, სახელმწიფო მას შემდეგ გააქტიურდა, რაც საქმეში ვოლსკი ჩაერთო.

ვოლსკის გააქტიურების შემდეგ ნატახტარის აეროპორტი და აღნიშნული კომპანია ყველა ტენდერში უპრობლემოდ იმარჯვებს, რომელიც მგზავრებისა და ტვირთების გადაზიდვას უკავშირდება.

„მთავარი არხის“ ცნობით, „ქართული ოცნების“ ლიდერის მონაწილეობით ჩამოიშორეს უცხოელი ინვესტორი რომელმაც 3 მილიონიანი ინვესტიცია ჩადო. ტელეკომპანიას წყარომ უთხრა, რომ ებრაელ ბიზნესმენს ლიკვიდაციით ემუქრებოდნენ, რის შემდეგაც მან ქვეყანა დატოვა.

ქართულ ზეცაში მონოპოლისტად ქცეულ კომპანიას დახმარებას „ბანკი ქართუ“ უწევდა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ბექა ნაცვლიშვილი: „ცხრა წელზე საუბარმა შეიწირა ყველაფერი“

ნათია ხურცილავა

„იდეების ჭიდილი რეალური ხედვების ჭიდილი არ არის“

კოალიცია „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **ბექა ნაცვლიშვილი,** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ბექა, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი გიორგი ქობულია ნოემბერში პოლიტიკას უბრუნდება. ასევე, არ არის გამორიცხული, რომ ყოფილი პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი გააქტიურდეს. თქვენ რას უკავშირებთ მათ პოლიტიკაში დაბრუნებას?

– რამდენი ადამიანიც არ უნდა დაბრუნდეს ან ახალი გამოჩნდეს, ქართული პოლიტიკის შინაარსს ვერ შეცვლის.

– მათი დაბრუნება პოლიტიკურ ლანდშაფტს ვერ შეცვლის?

– ვერ შეცვლის! რამდენი ბანკირი შემოვა პოლიტიკაში, რამდენი წარსულში გაბრაზებული და ნაწყენი ადამიანი დაბრუნდება, ეს რას შეცვლის და რას გვიშველის?! მთავარია ახალი იდეები. სახეები, პერსონები მეორე და მეათეხარისხოვანია.

ვინც მოდის, ყველა ერთსა და იმავეს ამბობს და ერთმანეთს ებრძვიან. ეს არის ქართული პოლიტიკა, ამას ვერ გასცდა. მთელი პოლიტიკა შოუ გახდა, რომელიც ტელეეთერებში მიდის. ამის შემხედვარე ხალხი კი განბილებულია, რადგან მისთვის არაფერი იცვლება. ამ 30 წლის განმავლობაში ერთი და იგივე ხდება, ეს ცირკი არა და არ მთავრდება. ეს არის ჩვენი სახელმწიფოს ყველაზე დიდი პრობლემა.

იდეების ჭიდილი, რეალური ხედვების ჭიდილი არ არის. საქმეს ვინ უკეთ გააკეთებს და როგორ გააკეთებს, ამაზე კი არ არის საუბარი, ოღონდ მე მოვიდე, ამაზეა საუბარი! მითხარით, ვაუა ერქმევა, არჩილი თუ რაც არ უნდა ერქვას, რა მნიშვნელობა აქვს?! რეალურ ცვლილებებს პოლიტიკოსები ვეღარ მოახდენენ, პოლიტიკოსები უკვე ვერაფერს ვეღარ შეცვლიან.

– აბა ვინ უნდა შეცვალოს?

– ხალხმა. თავად ხალხი თუ გააკეთებს რამეს. ხაზარაძე და კეზერაშვილი თუ გამოჩნდებიან, მათი იმედი არ უნდა გვქონდეს. ოლიგარქები საკმარისად გვყავს პოლიტიკაში, მეტი აღარ გვჭირდება.

დახლები კი არ გვჭირდება, გვჭირდება ხალხი, ადამიანები, რომლებიც ტელევიზორებში არ ჩანან. პირადი ამბიციებითა და ურთიერთწყენებით გამოწვეული და გაბრაზებული პოლიტიკოსების დრო წარსულს უნდა ჩავაბაროთ. უბრალო ხალხი უნდა მოვიდეს, გულანთებული ხალხი, რომელიც მოიტანს ცვლილებებს.

– შვიდწლიანი მმართველობა შეაჯამა „ქართულმა ოცნებამ“. თქვენ თავის დროზე ამ ერთობაში იყავით. რას იტყვით?

– სერიოზული შეჯამება იყო! უკეთესს ვერ ინატრებდი! გულის მომაკვდინებელი იყო ის სიტყვა, რომელიც ვითომ აჯამებდა ამ შვიდწლიან მმართველობას.

გული მწყდება იმაზე, რომ 2012 წელს ადამიანებში ჩასახული იმედები, ტემპერამენტი, დუღილი, შემართება, უკეთესის მოლოდინი სრულიად დაიკარგა, გაქრა. მეტიც, ადამიანები, პირიქით, უიმედობაში გადავარდნენ. მთელი სულის-კვეთება, ერთიანობის განცდა, რომელიც ნამდვილად იყო, დაიკარგა.

ცხრა წელზე საუბარმა შეიწირა ყველაფერი. ადამიანების მდგომარეობა არ გამოსწორებულა, ეკონომიკური ვითარება არ გაუმჯობესებულა, სამართლიანობა არ აღმდგარა. მართალია, ძალადობა არ არის და სახელმწიფოს რეპრესიული აპარატი იმდენად ძლიერი არ არის, როგორც მაშინ იყო, მაგრამ განვითარება არ არის. ქვეყანა წინ ვერ მიდის. სამწუხაროდ, ვერც ერთი ნაბიჯი ვერ გადავდგით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით.

– ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ ყველა ხელისუფლებამ დაკარგა ტერიტორიები, ჩვენს ხელისუფლებას ტერიტორიები არ დაგვიკარგავსო.

– ეს რა, ხელისუფლების მახასიათებელი ხომ არ უნდა იყოს?! მცოცავ ოკუპაციას რას ვუშვრებით?!

ადამიანები ქვეყნიდან გადიან, გადიან იმიტომ, რომ აქ საკუთარ მომავალს ვერ ხედავენ. როდესაც ადამიანებს მომავლის იმედი არ აქვთ და უიმედობაში არიან, ეს ყველაზე დიდი მტერია სახელმწიფოსი.

ერთადერთი, რითაც თავს იწონებდა „ქართული ოცნება“, ჯანდაცვის რეფორმა იყო, მაგრამ აქაც რა მოხდა – ერთი ხელით რეფორმა გატარდა, ადამიანებს ამან მართლაც სულზე მიუსწრო, მაგრამ კერძო კომპანიები გამდიდრდნენ და რეფორმა წინ ვეღარ წავიდა. ცხადი იყო, რომ ეს რეფორმა, საბოლოო ჯამში, განწირული იყო.

იმის ნაცვლად, რომ ეს შვიდი წელი გამოგვეყენებინა ჩვენი ქვეყნის წინ წასაწევად, წინა შეცდომების გასაანალიზებლად, პირიქით მოხდა. ეს მიმაჩნია ყველაზე დიდ შეცდომად. ეს დრო ვერ გამოვიყენეთ.

– რატომ, პოლიტიკური ნება არ არის თუ არ შეუძლიათ საქმის კეთება?

– არავინ იღებს პასუხისმგებლობას. ქვეყნის განვითარების გრძელვადიან ხედვაზე, გრძელვადიან განვითარებაზე აღარავინ საუბრობს. ამ მისიას საკუთარ თავზე არავინ იღებს. არც ერთმა მინისტრმა არ იცის, ხვალ და ზეგ სად იქნება.

– ამიტომ ურჩევნიათ, არაფერი გააკეთონ?

– რა თქმა უნდა! მეორე, იდეოლოგია, მათი მიდგომა. რაღაც რწმენა აქვთ, რომ უხილავი ხელი დაარეგულირებს. როგორც ამბობენ, ბაზარი დაარეგულირებს, ბაზრის ყოვლისშემძლეობაზე არიან ორიენტირებული.

– მაგალითად, რას ამბობენ?

– რომ ბაზარი შექმნის სამუშაო ადგილებს. თურმე ბაზარი გადაარჩენს ყველა ადამიანს ამ ქვეყანაში. არ არსებობს ქვეყანა, სადაც ვერ მიხვდნენ, რომ ეს ფუჭი იმედებია. ჩვენ კიდევ ამის გვჯერა. გვჯერა მსოფლიო ბანკის იმ კვლევების, რომლებიც გვეუბნება, რომ თურმე რაღაც მაჩვენებლებით დავწინაურებულვართ, ესპანეთი, იტალია, ჩეხეთი უკან მოგვიტოვებია.

შემოიტანეს ტაქსის რეგულაციები, რომლითაც ადამიანებს ცხოვრება უფრო ურთულდებათ, უფრო უძვირდებათ. მოქალაქეები როგორ ჩავახრჩოთ რეგულაციებში, ამას ვფიქრობთ, იმას კი არა, მეტი სამუშაო ადგილი როგორ შევქმნათ. დოვლათის გადანაწილებაზე, მის შექმნაზე არავინ ფიქრობს. ვერ გეტყვით, ეს რისი ბრალია – გაუბედაობის, უმოქმედობისა თუ მსხვილი ბიზნეს-ინტერესების დიქტატის, რომელიც, შესაძლოა, ხელისუფლებაზე ვრცელდება.

– ბიზნესინტერესებს ვინ ლობირებს?

– არ ვიცი. ხვალ პარლამენტში შევდივარ კანონპროექტების ინიცირებით მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებით და ვნახოთ, მაგრამ უკვე არის მითქმა-მოთქმა, ვინ გაიმარჯვებს, ვის უფრო მეტი ძალა ექნება და ა.შ. საზოგადოებამ ეს ყველაფერი უნდა გაიგოს და ანალიზი გააკეთოს.

დეკანოზი გიორგი მამალაძე: „სიბინძურეში გახვეულ ადამიანებს წყალობას არ ვთხოვ“



– არც იმედი მაქვს და არც სურვილი, ამ სიბინძურეში გახვეულ ადამიანებს წყალობა ვთხოვო. დაუძლურებულიც კი ისევ ის ამაყი, უდანაშაულო ადამიანი და მღვდელი ვარ.

ამის შესახებ ციანიდის საქმეზე მსჯავრდებულმა დეკანოზმა გიორგი მამალაძემ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „საღამოს ნიუსრუმს“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განუცხადა.

გლდანის პენიტენციარული დაწესებულებიდან მიცემულ ინტერვიუში მამალაძე საკუთარ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ხელ-ფეხს კვლავ ვერ ამოძრავებს.

– მარჯვენა ხელსა და ფეხს ვერ ვგრძნობ, სულ წოლა მიწევს. ეტლს, სამწუხაროდ, ვერ ვიყენებ. პერსონალი კარგი ხალხია, უბრალოდ, თავადაც შეზღუდვები აქვთ. ზოგადად არ არის კარგი პირობები, ჩემნაირი ავადმყოფი აქ არ უნდა იწვეს, მაგრამ ამას ეს პერსონალი ვერ მოაგვარებს, სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ასეთ დაწესებულებებს, – აცხადებს მამალაძე.

ის ასევე გამოეხმაურა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ მძიმე დანაშაულში მსჯავრდებული პირების შეწყალებას, ვინაიდან დეკანოზის ოჯახმა როგორც ამჟამინდელ, ასევე წინა პრეზიდენტსაც შეწყალების თხოვნით მიმართა.

– თქვენ გგონიათ, მქონდა შეწყალების იმედი? არა, რა თქმა უნდა. ჩემი ოჯახის წევრების სურვილი იყო, რომ მიემართათ. მე არ მინდოდა. არც იმედი მაქვს და არც სურვილი, ამ სიბინძურეში გახვეულ ადამიანებს წყალობა ვთხოვო. წყალობას უფალი მომანიჭებს, როცა დრო იქნება. შეწყალებულ პატიმრებს რაც შეეხება, მის სინდისზე იყოს, ვინ და რატომ შეიწყალა. პატიმრის შეწყალება ზოგადად სათნო საქმეა, თუმცა ამას ანგარება არ უნდა ახლდეს, – განაცხადა მამალაძემ.

ის პრეზიდენტისთვის შეწყალების თხოვნას მომავალში არ აპირებს.

– კვლავაც ვიტყვი, რომ მე მისთვის არ მიმიმართავს და არ ვთვლი, რომ ვინმემ მოწყალება უნდა გამოიყენოს ჩემ მიმართ. ასეთი დაუძლურებულიც კი ისევ ის ამაყი უდანაშაულო ადამიანი და მღვდელი ვარ, – განაცხადა დეკანოზმა გიორგი მამალაძემ.

ცნობისთვის, ე.წ. ციანიდის საქმეზე გიორგი მამალაძე საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას თავისუფლების აღკვეთა 9 წლით განუსაზღვრა. დეკანოზის საქმე სტრასბურის სასამართლოშია გაგზავნილი.

სანდრო ბრეგაძე: „მეკითხებიან, სააკაშვილი ქართული მარშის წევრი ხომ არ გახდაო?“

ნონა ცაბაძე

„ხაზარაძე ივანიშვილს ბაძავს, მაგრამ ის კომიკური პერსონა გახდა“

„ახალი თაობის“ კითხვებს ქართული მარშის ლიდერი **სანდრო ბრეგაძე** პასუხობს.

– ბატონო სანდრო, ახლოვდება 2020 წელი და აქტიურობენ ბიზნესმენები და ხელისუფლების ყოფილი წევრები. გიორგი ქობულიაც ანა დოლიძის მოძრაობაში ერთიანდება. რა ხდება?

– ვინც კი დედამ შვილი დაწყევლა, ყველამ პოლიტიკაში მოინდომა შემოსვლა. მოინდომეს კორუმპირებულმა ადამიანებმა. ყველზე საშიში ტენდენცია არის ის, რომ პოლიტიკაში შემოდიან ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე იყვნენ საქართველოში კორუფციის წყარო და ის ადამიანები, რომლებმაც თითოეული ჩვენგანი გაძარცვეს, ჩვენგან ნაძარცვი ფულით დააგროვეს ქონება და შემდეგ ეს ქონება კრედიტების სახით მოგვაპროცენტეს!

ესენი არიან მევახშეები. მათ დაგვაკარგვინეს სახლები და მუდმივად ვართ მათი პროცენტების ხდაში. ეს არის ძალიან ცუდი ტენდენცია.

– რა არის ცუდი?

– სულ კეთდება განცხადებები, რომ ბიზნესმენები მოდიან პოლიტიკაში. თუ ბიზნესმენი ხარ, შენი საქმე უნდა აკეთო, მაგრამ ესენი არიან ჩვეულებრივი მძარცველები. დღევანდელ პოლიტიკურ სურათს ვერ ვუყურებ დიდი ოპტიმიზმით. ძალიან ცუდი პროცესების მომასწავებელია ეს ყველაფერი, რაც დღეს ხდება.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– ეს მძარცველები, რომლებიც დღეს პოლიტიკაში შემოდიან, რეალურად არიან კრიმინალები. ესენი არიან ხელისუფლებაზე დაგეშილი პიროვნებები, რომლებსაც ძალიან დიდი ფული აქვთ და ახლა ხელისუფლებაში მოსვლა უნდათ, ძალაუფლება უნდათ. ამიტომ ასეთი ადამიანები არასდროს არაფერზე უკან არ იხევენ და ყველანაირ ავანტიურაზე მიდიან.

– მამუკა ხაზარაძე აქტიურობს, თავად აცხადებს, კვირიკაშვილთან და ქობულიასთან არანაირი კონსულტაციები არ მქონიაო, მაგრამ ბევრი ფიქრობს, რომ ეს ჯგუფი გაერთიანდება. რას იტყვით თქვენ?

– ხაზარაძის პოლიტიკურ მომავალს საერთოდ ვერ ვხედავ. ხაზარაძე ბევრად უფრო კომიკურ პერსონაჟს წააგავს და მისი პოლიტიკური მოღვაწეობაც ბევრად უფრო კომიკური გახდება. ჯერ მარტო მის განცხადებებს მოუსმინეთ. ის ბიძინა ივანიშვილს ბაძავს.

– ივანიშვილსაც ჰქონდა დიდი ფული და ისიც ბიზნესიდან მოვიდა პოლიტიკაში, ხაზარაძე რატომ არ უნდა მოვიდეს?

– მას და ბიძინა ივანიშვილს შორის დიდი განსხვავებაა. 2011 წელს ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა არა მარტო ფული, მას ჰქონდა განუზომელი რეიტინგი, ავტორიტეტი და ხალხის სიყვარული.

– დღეს ეს ყველაფერი წარსულში დარჩა.

– ეგ სხვა თემაა. მე ვსაუბრობ იმდროინდელ მოცემულობაზე. ეს ყველაფერი მამუკა ხაზარაძეს ნამდვილად არ გააჩნია. რა დოზის სიყვარულიც ჰქონდა 2011 წელს ბიძინა ივანიშვილს, დაახლოებით იმ დოზის სიძულვილი აქვს ხალხის მხრიდან მამუკა ხაზარაძეს. აქ არის გადამწყვეტი ფაქტორი ის, რომ ბიძინა ივანიშვილს ჩვენი ძარცვით არ უშოვია ფული, ხაზარაძეს კი ჩვენი ძარცვითა და ხალხისგან ამოღებული პროცენტებით აქვს ნაშოვნი ეს ფული. ეს ზიზღი ვერანაირი ფულით ვერ გადაიწონება. ის პოლიტიკაში ვერაფერს მიაღწევს.

– პოლიტიკაში მოსვლის ამხელა სურვილი საარჩევნო კანონის ცვლილების ბრალია? თუ იქნება 0,67%-იანი ბარიერი, ფიქრობენ, რომ პარლამენტში ყველა მოხვდება.

– კი ბატონო, ასეა. ჩემი ნაცნობები, რომლებსაც წვრილ-წვრილი პარტიები აქვთ, ყველა ერთსა და იმავეს მეუბნება, 15 ათას ხმას როგორ ვერ მივიღებთო. მე კი ვფიქრობ, რომ ვერ მიიღებენ. მართალს ბრძანებთ, სწორედ ეს არის ფაქტორი, რადგან ყველას შეექმნა ილუზია იმისა, რომ პარლამენტში მარტივად შევა.

დაველოდოთ არჩევნებს და ვნახოთ, ბევრი ისეთი პოლიტიკოსი აღმოჩნდება პარლამენტს გარეთ, რომელსაც კოშმარულ სიზმარშიც კი არ წარმოუდგენია, რომ ხმებს ვერ მიიღებს. აქ არის კიდევ ერთი მომენტი.

– რომელი?

– ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენთან ძირითადად ორი ვადით არის ხელისუფლება წარმოდგენილი. ასე იყო მოქალაქეთა კავშირიც და ნაციონალური მოძრაობაც.

– „ოცნებამაც“ ორი ვადა თითქმის მოიხადა.

– დიახ, ასეა და ფაქტია, რომ „ოცნება“ მთავრობას ვეღარ დააკომპლექტებს, ყოველ შემთხვევაში, დამოუკიდებლად ამას ვერ გააკეთებს. ყველაზე კარგ შემთხვევაში, მას აქვს კოალიციური მთავრობის პერსპექტივა. აქედან გამომდინარე, ამანაც გარკვეული მიზიდულობა გააჩინა. ხელისუფლების ცვლილების დროს მღვრიე წყალში თევზის დაჭერა ადვილია.

– სერიოზული ვაჭრობა წავა?

– ის ნაგავი, რომელიც დღეს არის პოლიტიკურ ასპარეზზე, იმავე ნაგვად დარჩება. მალე დადგება დრო, რომ ამ მილიონერებისა და ამ მძარცველების წინააღმდეგ ერთიანად აჯანყდება ხალხი, აღარავინ დაიწყებს გარჩევას, ის სააკაშვილის პარტიის წევრია თუ ხაზარაძის.

– სააკაშვილი ახსენეთ და ბოლო პერიოდია, სერიოზული დაპირისპირებაა ოპოზიციაში, კერძოდ კი – ნაცმოძრაობასა და „ევროპულ საქართველოს“ შორის. რას ვერ იყოფენ, რა შეიცვალა მათ მიდგომებში?

– სააკაშვილის ქმედებები უკვე ანეკდოტურია. ბოლო პერიოდში ნაცნობ-მეგობრები მხვდებიან და მეკითხებიან, სააკაშვილი ქართული მარშის წევრი გახდაო? სააკაშვილი ცდილობს, ეროვნულ-ტრადიციული და ქრისტიანული ღირებულებების დამცველ პერსონად წარმოაჩინოს თავი.

მართალია, ეს კომიკურად გვეჩვენება, მაგრამ სააკაშვილი არ გახლავთ იმდენად ბრიყვი, რომ ნაბიჯი დაუფიქრებლად გადადგას. მას ურჩიეს დასავლელმა მრჩევლებმა, რომ ერთადერთი გზა, რომლითაც შეუძლია, ხელისუფლებაში დაბრუნდეს, ეროვნული ლიდერობაა, ანუ ის ტრადიციული ღირებულებების მატარებელი ლიდერი უნდა გახდეს.

სააკაშვილს ურჩიეს და გადააწყვეტინეს, რომ მან უარი თქვას ლიბერასტულ ღირებულებებზე. ეს კი ყველაზე საშიში ტენდენციაა.

– ბოკერიაზე რას იტყვით?

– სააკაშვილი ყველანაირად შეეცდება, დისტანცირება მოახდინოს ბოკერიასგან, რადგან ბოკერია არის ამ ლიბერასტული იდეოლოგიის მატარებელი პიროვნება. ერთი რამე იცოდეთ ყველამ – ისინი მაინც ერთი ბინძური ფესვებიდან აღმოცენებული ძალები არიან.

აი, ნახავთ, ძალიან ბევრი გამოჩნდება, ვინც წაეპოტინება ამ ეროვნულ იდეას. ძალიან ბევრი შემოთავაზება გვქონდა, გავერთიანდეთო, ჩვენ გამოვსწორდით და ყველაფერში გვერდით დაგიდგებითო, მაგრამ მათ ამის შანსი არ აქვთ, პავლე სავლე ვერ გახდება. სააკაშვილი ვერასოდეს გადაიქცევა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლად.

რაც შეეხება ბოკერიას, ის ნამდვილად არის ყველაზე ბნელი ძალა, რომელიც არსებობს საქართველოში. ბოკერია არანაკლებ და, ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტად დამნაშავეა, ვიდრე სააკაშვილი.

– ბატონო სანდრო, როდესაც ასეთი აჯაფსანდალი და დომხალია პოლიტიკურ ველზე, რას მივიღებთ 2020 წელს?

– 2020 წელი აუცილებლად იქნება ეროვნული ძალების გამარჯვების წელი. ბოლო თვეებში ისეთი რამე მოხდება, რომელიც ყველას გააკვირვებს.

– უფრო კონკრეტულად?

– ხელისუფლებაში მოვა ისეთი ძალების კოალიცია, რომელიც იქნება ტრადიციული, ეროვნული ღირებულებების გამტარებელი. მსოფლიოშიც ეს ტენდენციაა და ჩვენთანაც ასე იქნება.

ძალზე მძიმე პროცესები გველოდება. სამოქალაქო დაპირისპირების გარეშე ეს ყველაფერი არ ჩაივლის.

– „ოცნებას“ აღარ აქვს შანსი, დარჩეს ხელისუფლებაში?

– იმის შანსი, რომ „ოცნებამ“ ერთპიროვნული მმართველობა შეინარჩუნოს, ნულის ტოლია. იმის მცირე შანსი არის, რომ კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბონ, ისევე, როგორც იმის შანსი არ არის, რომ ნაცმოძრაობა ან ბოკერიას პარტია მოტრიალდეს უკან.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

გია ბარამიძე: „რა პრობლემასაც ივანიშვილი გვიქმნის, ის უნდა დავუტრიალოთ“

„უბარიერო სისტემითა და ბლოკების აკრძალვით ივანიშვილს მღვრიე წყალში თევზის დაჭერა უნდა“

იაგო ნაცვლიშვილი

დასრულდა კონსტიტუციის საყოველთაო განხილვა და პროცესი პარლამენტში გადაინაცვლებს, სადაც კანონმდებლებმა უნდა მიიღონ ცვლილება, რომლის მიხედვითაც 2020 წლიდან არჩევნები სრულად პროპორციული წესით ჩატარდება და, შესაბამისად, გაუქმდება მაჟორიტარული სისტემა. თუმცა, სავარაუდოდ, საპარლამენტო უმრავლესობა ბლოკების შექმნის შესაძლებლობას აკრძალავს. ეს იდეა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ გააჟღერა.

ეს მაშინ, როდესაც ოპოზიციურ სპექტრში უკვე არის შექმნილი ორი ოპოზიციური ერთობა. ერთ-ერთი ასეთი გაერთიანებაა გაერთიანებული ოპოზიციის კოალიცია „ძალა ერთობაშია“, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების წინ შეიქმნა.

როგორ უყურებენ ამ საკითხს და რას მოიმოქმედებენ, თუ უმრავლესობა ასეთ ხელოვნურ ბარიერს შეუქმნის? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **გია ბარამიძე** საუბრობს.

– მამუკა მდინარაძისგან მოვისმინეთ, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლის პარალელურად, სავარაუდოდ, აიკრძალება ბლოკები. როგორ აფასებთ ამ გადაწყვეტილებას?

– გასაგებია, რომ ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა კანონმდებლობა საკუთარ ინტერესებს მოარგოს. მან დაინახა გაერთიანებული ოპოზიციის ძალა. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანად რომ ჩატარებულიყო, მას გრიგოლ ვაშაძე მოიგებდა და ახლა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ოპოზიციის გაერთიანება აკრძალოს, რადგან ოპოზიციის გაერთიანება გარდაუვლად გამოიწვევს მისი რეჟიმის მიერ ხელისუფლების დაკარგვას. ამიტომ ცდილობს, ხელი შეუშალოს ამ პროცესს.

– ანუ ამბობთ, რომ ეს არის ოპოზიციისთვის ცალსახად ბარიერის შექმნა?

– რა თქმა უნდა. მაშინ რატომ უნდა აკრძალო ბლოკები? აქამდე ყოველთვის იყო დაშვებული და ახლა რატომ უნდა აკრძალო ბლოკი? თუ პარტიებს გაერთიანება უნდათ, რატომ უნდა აუკრძალო ეს? რას გვაძლევს ეს აკრძალვა?

– მოქმედ კონსტიტუციაშიც წერია, რომ დაშვებულია ბლოკები ერთჯერადად 2020 წლისთვის და ესეც ხომ არ ამძაფრებს თქვენს ეჭვებს?

– რა თქმა უნდა და ამაზეა საუბარი. გასაგებია, რომ ბარიერს აუქმებს და უბარიერო სისტემას იღებს, რაც ცალკე მავნებლობაა. ბარიერი მთელ მსოფლიოში იმისთვის არის შემოღებული, რომ მოახდინოს პოლიტიკური ჯგუფების კონსოლიდაცია და მეტ-ნაკლებად სოლიდური პარტიები იყოს ქვეყანაში, იმიტომ, რომ არ იყოს ძალიან დაქსაქსული პოლიტიკური სპექტრი. მთელ მსოფლიოში ამიტომ არის შემოღებული ბარიერი, ზოგან 10%-ც კი არის სწორედ ამ მიზნით. მაგრამ, ბუნებრივია, 10% ჩვენთან არასწორი იქნებოდა.

ბევრ ქვეყანაშია 3, 4 და 5%. უმეტეს სახელმწიფოში 3%-ია და ნორმალური იქნებოდა, ჩვენთანაც ასე ყოფილიყო. ისედაც ჩამოუყალიბებელი პოლიტიკური სპექტრის პირობებში თუ გვინდა სტაბილური პოლიტიკური გარემო, აქედან გამომდინარე, თუ გვინდა სტაბილური პარლამენტი, მაშინ უნდა იყოს ასე. თუ პარლამენტში ათასი წვრილი პარტია იქნება, ეს აძლევს ივანიშვილს საშუალებას, განახორციელოს სხვადასხვა მანიპულაცია, მოსყიდვა, დაშინება და ა.შ.

– ივანიშვილმა ამაზეც გვითხრა, რომ ერთჯერადად იქნება უბარიერო სისტემა, ხოლო შემდეგ იქნება ისევ 5%-იანი ბარიერი და არა 3%-იანი, რასაც ოპოზიცია ითხოვდით. რას ნიშნავს ეს და გგონიათ, რომ მანიპულაციების საშუალებები რომ დაიტოვონ, ამიტომ შემოიღეს უბარიერო სისტემა ამ არჩევნებზე?

– დიახ, ამას იმიტომ აკეთებენ, რომ უფრო გაუადვილდეთ მოსყიდვა, დაშინება და ათასი მანიპულაცია. რაც შეეხება იმას, რატომ უბრუნდება შემდეგ ისევ 5%-იან სისტემას, მაგრამ ახლაა მისთვის საკვანძო არჩევნები და ჭგონია, რომ გადამწყვეტი იქნება ეს არჩევნები ოპოზიციური პარტიების განადგურებისთვის. ყველაზე მეტად, შესაძლოა, ამ არჩევნების ეშინია მას და შემდეგ, შესაძლოა, სხვა გეგმები ჰქონდეს. მის გათვლებს ზუსტად ვერ მოგახსენებთ. ფაქტია, რომ უბარიერო სისტემა, ჩემი ღრმა რწმენით, ახლა ზუსტად ამას ემსახურება იმიტომ რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მთელ მსოფლიოში ბარიერი იმისთვის არის შემოღებული, სხვადასხვა პოლიტიკური ძალები ერთიანდებოდნენ მეტ-ნაკლებად სერიოზულ და რაღაცა ავტორიტეტის მქონე პარტიებად. იმ ვითარებაში, როდესაც, ფაქტობრივად, არ არის ბარიერი და რეალურად ბუნებრივი ბარიერი მხოლოდ 0.77%-ია, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან წვრილ პარტიებს და ძალიან წვრილ პოლიტიკურ ჯგუფებს ექნებათ იმის შანსი, რომ მოხვდნენ პარლამენტში, რაც ძალიან ჭრელ პარლამენტს ნიშნავს და, შესაბამისად – ძალიან არასერიოზულ პარლამენტს. რადგან ჩვენ საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ, არასტაბილური პარლამენტი ნიშნავს არასტაბილურ ქვეყანას. ეს აწყობს ივანიშვილს მღვრიე წყალში თევზის დასაჭერად იმ მეთოდებით რომლებსაც ის იყენებს – ძირითადად მოსყიდვა. ამ ფულის გამოყენებით ის შეეცდება, არ შეაქმნევინოს ოპოზიციას ახალი კოალიციური მთავრობა, რომელიც ივანიშვილის რეჟიმს ხელისუფლებიდან გაუშვებს. ეს არის მისი ამოცანა, რომ ეს მღვრიე წყალი და არასტაბილურობა შექმნას და პატარ-პატარა, წვრილ-წვრილი პარტიები ადვილად დაიმორჩილოს.

– რაც შეეხება ბლოკების აკრძალვის თემას, ამაზე რა პასუხი გაქვთ?

– ამის პარალელურად ბლოკების აკრძალვა სწორედ ამისკენ არის მიმართული, რომ მაქსიმალურად დაქსაქსოს პარტიები. ეს, ფაქტობრივად, კარდინალურად ცვლის ვითარებას. პოლიტიკურ შესაძლებლობას ცვლის, თამაშს წესებს ცვლის ფუნდამენტურად, რაც, ბუნებრივია, აიძულებს ოპოზიციას, რაღაცნაირად ამ ვითარებასაც მოერგოს.

დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველა შემთხვევაში დავამარცხებთ მათ. ჩვენში მე მოვიაზრებ მთელი პროდასავლური ოპოზიციის ერთობლიობას.

– შექმნილი ხელოვნური ბარიერის ვითარებაში რას მოიმოქმედებთ? ასეთი ვერსიაც გაჩნდა, რომ შესაძლოა პარტიებმა ასეთი რამე მოიფიქრონ, რომ ერთი პარტიის ქვეშ გაერთიანდნენ და ასე მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. განიხილავთ ამ იდეას?

– კი, შესაძლებელია, ერთი პარტიის ქვეშ გაერთიანდნენ, მაგრამ მაშინ მოუწევთ ჩვენს ბლოკში გაერთიანებული პარტიების ლიდერებს, თავიანთი პარტია დატოვონ. ეს პრობლემატურია და სხვა პრობლემებსაც იწვევს. პარტიის შიგნით გაერთიანება საკმაოდ პრობლემატური შეიძლება იყოს, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია, ის პრობლემა, რომელსაც გვიქმნის ივანიშვილი, დავუტრიალოთ. შესაძლოა, პარტიები გაიშალონ. ყველა თავ-თავიანთ ამომრჩეველთან მივიდეს, ყველამ თავისი ამომრჩევლის ხმა წამოიღოს და საპარლამენტო მანდატები მოიპოვოს, მერე კი მდინარის პრინციპით გავერთიანდეთ. როგორც სხვადასხვა ფერდობიდან ჩამოდის ნაკადული, ერთ მდინარეში ერთიანდებიან და ძალას ქმნიან, ასე გაერთიანდნენ პარლამენტში.

ვნახოთ, როგორ დალაგდება. ეს სხვადასხვა ვარიანტია. ეს ფაქტორი უნდა იყოს გათვალისწინებული.

– ანუ ამ ორივე ვარიანტს განიხილავთ? იმასაც, რომ შესაძლოა ერთი პარტიის ქვეშ გაერთიანდეთ და იმასაც, რომ ცალ-ცალკე იყაროთ კენჭი და პარლამენტში შესვლის შემდეგ შექმნათ კოალიცია?

– დიახ. ბუნებრივად ორი ვარიანტია, ხომ? ან ერთი პარტიის ქვეშ გაერთიანება, ანუ პარტიები, რომლებიც შედარებით უფრო ძლიერები არიან, ცალკე გავიდნენ და თავისით მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ ამ ყველაფრის ქოლგა, სახელი მაინც ერთიანობა უნდა იყოს. ეს უნდა იყოს ძალა ერთობაშია, ასევე პრინციპიც ერთიანი უნდა იყოს. მოვილაპარაკებთ და ამის შემდეგ გადავწყვეტთ. ეს დამოკიდებულია იმ მაიმუნობაზე, როგორ კანონსაც ეს რეჟიმი შექმნის.

უნდა შევეცადოთ, მათ მიერ შექმნილი დაბრკოლებები ჩვენ სასარგებლოდ შემოვატრიალოთ, ჭკუითაც ვაჯობოთ და ტაქტიკითაც. საბოლოოდ, როცა ჩამოყალიბდება კანონმდებლობა და მიღებული იქნება, ალბათ, ბუნებრივია, მერე იქნება ფუნდამენტურად ამაზე მსჯელობა.

ნატოს გენმდივნის მოადგილე: „ვაძლიერებთ თანამშრომლობას საქართველოსა და ნატოს საზღვაო ძალებს შორის“

– შეშფოთებული ვართ შავი ზღვის რეგიონში რუსული სამხედრო ძალების გაძლიერებით და ამიტომაც ვაძლიერებთ თანამშრომლობას საქართველოსა და ნატოს საზღვაო ძალებს შორის.

ამის შესახებ ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე როუზ გოტმიოლერმა ბათუმში პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომელიც ნატო-საქართველოს კომისიის შემდეგ გაიმართა.

მან ისაუბრა საქართველოს მიღწევებზე ნატოსთან თავსებადობის მიმართულებით და განაცხადა, რომ საქართველო ნატოს უახლოესი პარტნიორია.

– ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ თქვენ წვლილს ჩვენ ერთობლივ უსაფრთხოებაში. თქვენ ხართ ერთ-ერთი ყველაზე დიდი წვლილის შემტანი ჩვენ მისიებში ავღანეთში, რაც გვაძლევს საშუალებას, ვებრძოლოთ ტერორისტების თავშესაფარს და ავღანეთში შევქმნათ პირობები მშვიდობისთვის.

გილოცავთ, რომ საქართველო წარმომადგენელი შტაბის უფროსის მოადგილის პოზიციას იკავებს ავღანეთში, ეს არის უმაღლესი პოზიცია, რომელსაც საქართველოს ოფიცერი იკავებს ნატოს მისიებში და ჩვენ ვაფასებთ ამ მიმართულებაში თქვენ ლიდერობას. მივესალმებით ბრიგადის გენერალ ჯანჯღავას ამ როლში.

თქვენ ასევე ძალებს უზრუნველყოფთ ნატოს რეაგირების ძალებისთვის და თქვენ უმასპინძლეთ ნატო-საქართველოს ერთიან წვრთნებს. ბატონმა პრემიერმა ისაუბრა ამაზე და მე ქართულადაც კი გავიგე, – აღნიშნა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ.

როუზ გოტმიოლერმა კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს სუვერენიტეტის მხარდაჭერა და რუსეთს მოუწოდა, გაიყვანოს რეგიონიდან ჯარები.

– ჩვენ დღეს ხუთი წლის იუბილეს აღვნიშნავთ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ხელმოწერის შემდეგ, რომელიც თქვენი ქვეყნის თავდაცვას გააძლიერებს ერთიანი წვრთნისა და შეფასების ცენტრის და ერთობლივი წვრთნების მეშვეობით.

დღეს შევთანხმდით, რომ განვაახლოთ არსებითი პაკეტი, ალიანსის წევრებმა რესურსების დაპირება გააკეთეს.

თქვენ მოახდინეთ თქვენი ინსტიტუტების გაძლიერება, მოახდინეთ მოდერნიზება თავდაცვის ძალების თავდაცვის ბიუჯეტის გაფართოებით. მოგიწოდებთ და მხარს გიჭერთ ამ მიმართულებით, რეფორმების ჩატარების თვალსაზრისით. მხარს გიჭერთ იმ რეფორმების განხორციელებისთვის, რომლებიც ნატოსთან აახლოებს საქართველოს, – განაცხადა ნატოს გენმდივნის მოადგილემ.

მან ხაზი გაუსვა, რომ ბრიუსელის სამიტზე 2018 წელს ალიანსის ლიდერებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ საქართველო ალიანსის წევრად იქნება მიღებული.

– ნატოს კარი ღია რჩება. მოკავშირეებმა კიდევ ერთხელ გააჟღერეს საქართველოს მხარდაჭერა სუვერენიტეტის, უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის მისამართით.

რუსეთს მოვუწოდებთ, გაიწვიოს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარება და გაიყვანოს საქართველოს ამ რეგიონებიდან ჯარები. ჩვენ ასევე შეშფოთებული ვართ შავი ზღვის რეგიონში რუსული სამხედრო გაძლიერებით და ამიტომაც ვაძლიერებთ თანამშრომლობას საქართველოსა და ნატოს საზღვაო ძალებს შორის, – დასძინა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე როუზ გოტმიოლერმა.

„სააკაშვილმა ბოკერია პოლიტიკურად გაანადგურა“

ლევან ჩაჩუა: „ოცნება“ გულუბრყვილო მასებით მანიპულირებას ახერხებს“

მარიამ მჭედლიშვილი

პოლიტიკურ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ **ლევან ჩაჩუას.**

– აცხადებდით, რომ ნაცმოძრაობა და „ქართული ოცნება“ აუცილებლად მიეტმასნებოდნენ კონსერვატორებს და ამით მოიმადლიერებდნენ საქართველოს საზოგადოების დიდ ნაწილს. სააკაშვილმა ამ მხრივ თავი გამოიდო. გჯერათ, რომ მან ამით ვინმე მიიმხრო?

– მართლაც, მითქვამს, მათ შორის, თქვენი პოპულარული გაზეთისთვისაც, რომ ლიბერალური ინტერნაციონალი მსოფლიოში თმობს პოზიციებს. დასავლეთის ბევრ სახელმწიფოში წინა პლანზე წამოვიდნენ ეროვნული ძალები. არ ვიცი, რამდენად გულწრფელია აშშ-ის პრეზიდენტი თავის განცხადებებში ნაციონალიზმისა და ტრადიციული ფასეულობების დაცვის შესახებ. ფაქტია, რომ საჯარო გამოსვლებში ტრამპი ლიბერალურ ინტერნაციონალს უპირისპირდება.

ეროვნული, კონსერვატიული ნარატივი აუცილებლად გადმოედებოდა ლიბერალური ინტერნაციონალის წევრ ქართველ ჭინკებს. ჩვენ, საზოგადოების უმრავლესობა, ტრადიციული ღირებულებების მიმდევრები ვართ. ვსაუბრობ მარიონეტ ქართველ პოლიტიკოსებზე. მოსალოდნელი იყო მათი გარდასახვა.

– გარდასახვა თუ კონსერვატორებად თავის გასაღება?

– გარდასახვაში თამაშს ვგულისხმობ. ჩვენი პოლიტიკური სპექტრის პრივილეგირებული ნაწილი ყველაფრის მკადრებელია. იაპონია რომ გახდეს მსოფლიოში მოდური, ეს პოლიტიკური ლიდერები დაიწყებენ იმის ძახილს, რომ გეიშების ჩვეულებები ქართულ კულტურაში ზის. სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ გვითხრა, რომ კონსერვატორი და ქართული ტრადიციების მოყვარულია, ბოკერია კი – პირიქით. ამით ყოფილმა პრეზიდენტმა ორი კურდღელი მოკლა.

– კერძოდ, რა ამოცანები შეასრულა?

– ჯერ ერთი, თავისი მზაკვრობით მან გაამარგინალა და პოლიტიკურად მოკლა გიგა ბოკერია. მეორეც, მან თავის და თავისი პარტიის გარშემო შემოიმტკიცა მომხრეების ის ჯგუფი, რომელიც მორწმუნე და ტრადიციების მიმდევარია. გვინდა თუ არა, ასეთი შემცდარი ხალხი საქართველოში არსებობს.

– სხვებზე გავლენა ვერ მოახდინა?

– მათზე, ვინც სააკაშვილის მოწინააღმდეგეა, ის ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა. დანარჩენი საზოგადოება მიხეილ სააკაშვილის ასეთი ტრიუკებით არ ტყუვდება. ამ ხალხისთვის სულ ერთია, რას წამოიძახებს სააკაშვილი და რას დაიბრალებს.

– თქვენი აზრით, ამით გაძლიერდა ნაციონალური მოძრაობა, რომელიც, არსებული ინფორმაციით, მარტო გადის არჩევნებზე და დასუსტდა ბოკერიას „ევროპული საქართველო“?

– რა თქმა უნდა. სააკაშვილმა პოლიტიკურად მოკლა „ევროპული საქართველო“ და მოიგო თავისი მომხრეების გული. სააკაშვილის მომხრეები განაწყენებული იყვნენ იმის გამო, რომ მათი ლიდერი საქართველოდან შორს იმყოფება, პარტია კი ბოკერიას მსგავსი ლიბერალების ხელშია. რაც შეეხება იმას, თუ რა ფორმით იყრის კენჭს ნაციონალური მოძრაობა, ეს მასზე არ არის დამოკიდებული.

– ვისზეა დამოკიდებული?

– მათ უცხოელ პატრონებზე. თუ ეტყვიან, ესა და ეს ადამიანი უნდა ჩასვათ სიაშიო, ჩასვამენ.

– სააკაშვილმაც დავალება შეასრულა თავისი განცხადებებით?

– რასაკვირველია. ისინი, ვისი მარიონეტებიც არიან ქართველი პოლიტიკოსები, კარგად სწავლობენ საზოგადოების განწყობებს. მათ ჩათვალეს, რომ სააკაშვილს ასე უნდა ემოქმედა. მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომ თავის დროზე სააკაშვილი ჩვენს ეკლესიას ებრძოდა. სააკაშვილს დასჭირდა და თქვა, რომ ეკლესიას ბოკერია ებრძოდა, იგივე ბოკერია დასცინის ქართულ ტრადიციებს.

ეს ტყუილი არც არის. ამაზე არაერთ ადამიანს გაუმახვილებია ყურადღება. სულ სხვაა, როცა ამას ადასტურებს ყოფილი ხელისუფალი.

– „ქართულ ოცნებასაც“ დასჭირდება მსგავსი კონტრზომების მიღება და ლიბერალიზმისგან დისტანცირება?

– „ქართულმა ოცნებამ“ უკვე იმოქმედა: გადააყენა პარლამენტის თავმჯდომარე კობახიძე, პრემიერად მოიყვანა გახარია, რომელიც იმუქრება, რომ დაასრულებს ნაციონალურ მოძრაობას; თავდაცვის მინისტრი გახდა ღარიბაშვილი.

ჩემი აზრით, ეს კონსერვატიული ფრთის გაძლიერება არ არის. ხელისუფლება სხვანაირად ფიქრობს და იმედიანად არის. კობახიძე, რომელსაც გავრილოვის მონაწილეობით სპეცოპერაცია ჩაუტარეს, ჩაანაცვლა მისნაირმა თალაკვაძემ. რატომღაც ამან საზოგადოება ილუზიებში ჩააგდო.

– ამ საკადრო გადანაცვლებებმა ხალხზე პოზიტიურად იმოქმედა?

– როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, ეს ასეა. საზოგადოება ამ ცვლილებებს აღფრთოვანებული შეხვდა. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა სოციალურ ქსელებში.

– იქნებ მხოლოდ „ოცნების“ წევრები აღფრთოვანდნენ?

– „ოცნების“ წევრები და ტროლები რომ აქტიურად მუშაობენ „ოცნების“ პიარზე, ეს ცნობილია. მე ვლაპარაკობ მიამიტ ადამიანებზე. „ოცნება“ ახერხებს გულუბრყვილო მასებით მანიპულირებას.

სიშტერეში გადასულ გულუბრყვილობას ემატება ანგარება. საარჩევნოდ ზოგი 50 ლარზე გაიყიდება, ზოგი – ტომარა კარტოფილზე, ზოგი არჩევნების დროს დროებით დასაქმდება და 500 ლარს აიღებს.

უწმინდესი ხშირად ამბობს, რომ საჭიროა ანალიტიკური აზროვნება. საუბედუროდ, ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა მოვლენებს არ აანალიზებს და ადვილად ბრიყვდება. ადამიანები არ აკვირდებიან პოლიტიკური ლიდერების ცხოვრების წესს. კაცი რომ მთელი ცხოვრება ეკლესიას ებრძოდა, სულ აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევა, იმის მორწმუნეობა და ტრადიციულობა დასაჯერებელია?! ეს მხოლოდ ერთი მაგალითია.

„დღეს ღამის 3 საათზე დაგირეკავ და მზად იყავი“

ლურჯი ვეშაპის სკანდალური შეტყობინებები ქუთაისელ მოსწავლეებს

„ინფო რუსთავი“ ავრცელებს სკანდალურ შეტყობინებებს, რომლებიც ქუთაისის სკოლის რამდენიმე მოსწავლემ მიიღო.

საინფორმაციო სააგენტოს მიერ გასაჯაროებული შეტყობინებები დაბალი კლასის 2-მა მოსწავლემ 21 სექტემბერს მიიღო. წყარო, რომელმაც „ინფო რუსთავს“ ფეისბუქშეტყობინებების ამსახველი ფოტომასალა მიაწოდა, ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, საქმე საშიშ ინტერნეტთამაშ „ლურჯ ვეშაპთან“ გვქონდეს.

შეტყობინებებით ირკვევა, რომ ტექსტის ავტორი დეტალურად არის ინფორმირებული, თუ ვისთან მეგობრობს შეტყობინების ადრესატი, რომელ დღეს რამდენი გაკვეთილი აქვს, გაკვეთილების შემდეგ სად მიდის და ა.შ.

„მოგესალმები ... მე ვიცი შენზე ყველა ფარული განზრახვა

მე ვიცი, რომ შენ სწავლობ ... საჯარო სკოლაში

შენი საუკეთესო მეგობარია ...

და ... შვილი ხარ

მე ყოველთვის გითვალთვალებ, მაშინაც კი, როდესაც სკოლა მორჩება და მანდატურების კაბინეტში ხარ

მე ყოველთვის გიყურებ და შენ ამას ვერ ამჩნევ

..... დღეს ღამის 3 საათზე დაგირეკავ და მზად იყავი“, – სწერენ ერთ-ერთ მოსწავლეს.

„მოგესალმები ... მე ვიცი შენი ყველა ფარული განზრახვა

მე ვიცი, რომ შენ სწავლობ ქუთაისის ... საჯარო სკოლაში

მე ყოველთვის გიყურებ და შენ ვერ მამჩნევ

მე ვიცი, რომ ..... დადიხარ და ისიც ვიცი, რომ შენი საუკეთესო მეგობარია ...

მასაც მივწერ, გული არ დაგწყდეს“, – სწერენ მეორეს.

აღნიშნულ ფაქტზე სამართალდამცველებმა საქმეზე მოკვლევა უკვე დაიწყეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება 151-ე მუხლით დაიწყო, რაც მუქარას გულისხმობს. საკითხთან დაკავშირებით დამატებით დეტალებზე ჯერჯერობით უწყებაში არ საუბრობენ.

„პრეზიდენტ ზურაბიშვილთან კომუნიკაცია არ მქონია“

ასლან ბეჟანიძის დედა თამარ მუქერია პროკურატურამ გამოკითხა

გუშინ, 3 ოქტომბერს, დავით ოთხმეზურის მკვლელობისთვის მსჯავრდებული ასლან ბეჟანიძის დედა თამარ მუქერია პროკურატურამ გამოკითხა.

თამარ მუქერია ე.წ. შეწყალების საქმეზე გამოიკითხა. როგორც მუქერიამ აღნიშნა, მან შეიტანა პრეზიდენტის სახელზე შეწყალების მოთხოვნა, თუმცა კომუნიკაცია არავისთან ჰქონია.

– არავისთან არ მქონია კომუნიკაცია. მივმართე პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით, სადაც ეწერა, რომ ჩემი შვილი იყო უდანაშაულო. გამართლებული იყო პირველ ინსტანციაში, გამართლებული იყო მეორეში და უზენაესში იყო განსხვავებული აზრი. კოლეგიის თავმჯდომარემ გაამართლა და გვენეტაძემ გაამტყუნა, – განაცხადა თამარ მუქერიამ.

ამასთან, როგორც ბეჟანიძის დედამ განმარტა, მან საგამოძიებო ორგანოს შესასწავლად ტელეფონი დაუტოვა.

– მობილური გავატანე. გამორიცხულია, რომ რამე ნახონ, არაფერი არ იქნება. ვერაფერს აღმოაჩენენ და არ ვიცი, რას ეძებენ. ამ მობილურით ვადასტურებ, რომ არავისთან მქონია კომუნიკაცია, – აღნიშნა მუქერიამ.

ადვოკატ ტარიელ კაკაბაძის განმარტებით, ასლან ბეჟანიძის დედამ გამოძიების მიერ დასმულ ყველა კითხვას ამომწურავი პასუხები გასცა.

– თამარ მუქერიამ ყველა შეკითხვას, რომელიც იყო დასმული, ამომწურავი პასუხი გასცა. კითხვები ეხებოდა იმას, თუ როდის დაწერა მან განცხადება, შეიტანა თუ არა თვითონ ეს განცხადება, რა დოკუმენტაცია დაურთო და ა.შ.

მან ისაუბრა, რომ განცხადება თავად დაწერა, თვითონ შეიტანა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და აღნიშნულ განცხადებას დაურთო გარკვეული დოკუმენტაციები, როგორიცაა ჯანმრთელობის ცნობები, პირველი, მეორე და მესამე ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენები, ასევე გარკვეული დოკუმენტაცია, რომელიც მოთავსებული იყო საქმეში, როგორც მტკიცებულება.

რაც შეეხება იმას, ჰქონდა თუ არა მსჯავრდებულის ადვოკატებს ან ოჯახის წევრებს კომუნიკაცია ვინმე პირთან, მაგალითად პრეზიდენტთან, პასუხი ცალსახაა. პრეზიდენტთან არავის არანაირი კომუნიკაცია არ ჰქონია. არ დასმულა არც ერთი კითხვა, რომელზეც იყო პრობლემა, – განაცხადა კაკაბაძემ.

კითხვაზე, დაისვა თუ არა კითხვები რეკომენდატორებთან დაკავშირებით, ადვოკატმა განმარტა, რომ მსგავსი კითხვა არ დასმულა.

გუშინვე პროკურატურამ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დიმიტრი გაბუნია, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ანგი ხუციშვილი და ადმინისტრაციის რამდენიმე თანამშრომელი გამოკითხა.

გაბუნიამ და ხუციშვილმა პროკურატურა კომენტარების გარეშე დატოვეს.

შეგახსენებთ, პრეზიდენტმა საღამე ზურაბიშვილმა მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოცემული შეწყალების აქტით, მკვლელობისთვის მსჯავრდებული რამდენიმე პირი შეიწყალა, მათ შორის 22 წლის პოლიციელის, თარაშ მუკბანიანის, ისტორიკოს გიორგი ოთხმეზურის შვილის, დავით ოთხმეზურისა და სოსო ქოიავას მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირები.

„ევროპული საქართველოს“ ინფორმაციით, შეწყალების პროცესში კორუფციულ გარიგებებს აქვს ადგილი, რომელშიც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დიმიტრი გაბუნიაა ჩართული, თუმცა თავად გაბუნიას განცხადებით, შესაწყალებელ პატიმართა სიის შედგენას ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ანგი ხუციშვილი კურირებდა.

სკანდალური შეწყალების შემდეგ პროკურატურამ მსჯავრდებულების: რამაზ დევაძის, ასლან ბეჟანიძის, ზურაბ ნადირაძის და სხვა პირთა შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

შეწყალების საქმეზე უკვე გამოიკითხნენ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დიმიტრი გაბუნია, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ანგი ხუციშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის 5 თანამშრომელი და დიმიტრი გაბუნიას საადვოკატო ბიუროს პარტნიორები.

ზვიად კუპრავა გამამტყუნებელ განაჩენს გაასაჩივრებს

„სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა მის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს გაასაჩივრებს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს კუპრავას ადვოკატმა ლევან დავითაიამ 2 ოქტომბერს სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განუცხადა.

– მიგვაჩნია, რომ ეს არის განაჩენი მტკიცებულებების გარეშე. სასამართლოს არც ერთი განმარტება არ ჰქონია, თუ რატომ მიიღო გამამტყუნებელი განაჩენი, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლოს არ აქვს არგუმენტები იმისთვის, რომ გამამტყუნებელი განაჩენი დაასაბუთოს. მიმაჩნია, რომ ეს აბსოლუტურად პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, – განაცხადა დავითაიამ.

შეგახსენებთ, „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილზე ძალადობაში სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას 1.000 ლარის ოდენობით ჯარიმა დააკისრა.

ადვოკატი ბასილაია: „ფორმულის“ გენდირექტორმა ყველა კითხვას პასუხი გასცა“

დასმულ კითხვებზე ზურაბ გუმბარიძემ ამომწურავი პასუხები გასცა.

ამის შესახებ ზურაბ გუმბარიძის ადვოკატმა ბექა ბასილაიამ პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა. როგორც მან აღნიშნა, ფაქტობრივად, არც ერთი პასუხგაუცემელი შეკითხვა არ არსებობს, რაც გამოძიებას აინტერესებს.

– მთელი ეს პერიოდია, პროკურატურა „რუსთავი 2“-სა და „ინტერმედია +“-ს შორის სამართლებრივ და ფინანსურ ურთიერთობებს სწავლობს, რაც არა მხოლოდ ამ ეტაპზე, არამედ თავიდანვე, როცა ეს ურთიერთობები დაიწყო, იყო ღია, გამჭვირვალე, ყველა ფინანსური ოპერაცია იყო დეკლარირებული და ბიუჯეტიდან ანგარიშსწორების თვალსაზრისითაც ორივე კომპანია აბსოლუტურად პირნათელია.

ეს დაკითხვა კი დღეს რასაც ეძღვნებოდა, გამოძიებისთვისაც კი ნათელია, რომ აქ კრიმინალის ნიშნები არ არსებობს. მაგრამ ჩნდება კითხვა, გუშინ ტელეკომპანია „ფორმულა“ გავიდა ეთერში და იმავე დღეს არხის გენერალური დირექტორი გამოკითხვაზე დაიბარეს.

ჩვენ ამ პროცესებს ასე ვერ შევაფასებთ, რომ მხოლოდ გამოკითხვას ჰქონდა ადგილი, კი ფორმალური თვალსაზრისით კონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობდა გამოკითხვა, მაგრამ ეს ერთიან კონტექსტში უნდა დავინახოთ. ყველაზე მთავარი რაც არის, ყველა იმ კითხვას, რაც დაისვა, პასუხი გაეცა და ეს პასუხები პროკურატურისთვის ნათელი იყო გამოკითხვაზე დაბარებამდეც, – განაცხადა ბექა ბასილაიამ.

სექტემბერში ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 261 ფაქტი გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2019 წლის 1 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 261 ფაქტი გამოავლინეს, მათ შორის 13 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ყველაზე მეტი – 97 ფაქტი გამოვლინდა კახეთის რეგიონული სამართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე. იმერეთში დაფიქსირდა 43 ფაქტი, სამცხე-ჯავახეთში – 33, შიდა ქართლში – 27, აჭარაში – 24, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 14, ქვემო ქართლში – 10, მცხეთა-მთიანეთში – 6, გურიაში – 4, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში კი – 3 სამართალდარღვევა გამოვლინდა.

ჯამში, ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული 653 მ3-მდე ხე-ტყე.

ამავე პერიოდში დაფიქსირდა სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის 21 ფაქტი, მათ შორის, ორი – თბილისის ტერიტორიაზე. ასევე, ამოღებულია 21 ერთეული დაურეგისტრირებელი სახერხი. მასალები შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის უწყებებშია გადაგზავნილი.

სამეგრელოსა და ქვემო ქართლში 7 პირი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ოპერატიულ- სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მიმდინარე წლის სექტემბერში, მარკირებას დაქვემდებარებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვის 11 ფაქტი გამოავლინეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამეგრელოსა და ქვემო ქართლის რეგიონებში, დანაშაულში მხილებული პირებისგან ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი სხვადასხვა დასახელების ჯამში 35.000 კოლოფზე მეტი უაქციზო სიგარეტი, რომლის საბაზრო ღირებულება 136.000 ლარს აღემატება. დანაშაულის ჩადენის ფაქტზე მხილებულია 13 პირი, მათგან 7 დაკავებულია.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით მიმდინარეობს, რაც 6-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

სკოლიდან კომპიუტერები მოიპარეს

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლიდან კომპიუტერები მოიპარეს.

გავრცელებული ინფორმაციით, მოპარულია 6 კომპიუტერი.

შსს-ს ცნობით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს.

მერკელმა ზელენსკის მადლობა გადაუხადა

რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები შენარჩუნდება

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა შტაინმაიერის ფორმულაზე ხელის მოწერა პოზიტიურად შეაფასა. მან განაცხადა, რომ დონბასში მშვიდობის აღდგენისკენ დიდი ნაბიჯი გადაიდგა.

– მსურს, პრეზიდენტ ზელენსკის უღრმესი მადლობა გადავუხადო! – განაცხადა მერკელმა.

კანცლერმა აღნიშნა, რომ ახლა ნორმანდიული ოთხეულის შეხვედრას პარიზში წინ არაფერი უდგას. ის, სავარაუდოდ, უახლოეს ხანებში გაიმართება.

ამავე დროს, მერკელმა დაამატა:

– რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები არ გადაიხედება. ისინი ძალაში რჩება.

საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა ასევე აღნიშნა, რომ საფრანგეთი, კერძოდ, პარიზი, მზად არის, ნორმანდიული ოთხეულის შეხვედრას უმასპინძლოს. რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმება ან შესუსტება მანაც გამორიცხა.

სკანდალი აშგაბადში

აშგაბადში თურქმენეთის მთავრობის სხდომა გაიმართა. რესპუბლიკის პროკურორმა შინაგან საქმეთა მინისტრ მულიკოვს ბრალად დასდო კორუფცია, თანამდებობის ბოროტად გამოყენება და ა.შ.

გაშმაგებული მინისტრი წამოხტა, მაგრამ პრეზიდენტმა ბერდიმუხანედოვმა უბრძანა, დამჯდარიყო. მინისტრი დაემორჩილა.

ბერდიმუხამედოვმა განაცხადა, რომ მულიკოვი თანამდებობაზე დარჩენას კი არა, დახვრეტას იმსახურებს, მაგრამ მას არ დახვრეტენ, არც დააპატიმრებენ, თუმცა პოსტს გამოემშვიდობება.

ბერდიმუხამედოვის ბრძანებით მულიკოვს ჩამოერთვა ყველა ჯილდო და გენერალ-ლეიტენანტის წოდება. ამიერიდან ის მაიორია.

თურქეთთან 5-ბალიანი მიწისძვრა მოხდა



თურქული მედიის ცნობით, ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მიწისძვრა მოხდა. თურქეთის კატასტროფისა და საგანგებო სამსახურის ცნობით, მიწისქვეშა ბიძგებმა 5 მაგნიტუდა შეადგინა.

მიწისძვრის ეპიცენტრი მუგლას პროვინციიდან 58 კილომეტრში მდებარეობს.

მოამზადა ნიკა თეგზაძემ

სიისხლიანი დრამა პარიზში

4 ადამიანი დაიღუპა

პარიზში უცნობი მამაკაცი პოლიციის ოფიცრებს ცივი იარაღით დაესხა თავს. სამართალდამცავთა საპასუხო ზომების მიღების შემდეგ მამაკაცი მოკლეს.

მამაკაცი ცდილობდა პოლიციის შენობაში შეღწევას, რისი უფლებაც მას სამართალდამცავებმა არ მისცეს, რის შემდეგაც ის პოლიციელებს თავს დაესხა.

შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა.

ჯონსონმა ბრექსიტის ახალი გეგმა წარმოადგინა

ბრიტანეთის პრემიერმა ბორის ჯონსონმა ბრექსიტის ახალი გეგმა წარმოადგინა. წინანდელისგან განსხვავებით, ამ გეგმაში არ არის გათვალისწინებული საბაჟოები ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის (ირლანდია ევროკავშირში შედის, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდია ბრიტანეთის შემადგენლობაშია).

ჯონსონმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თუ ევროკავშირთან შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, ბრიტანეთი შეთანხმების გარეშე განახორციელებს ბრექსიტს.

ნარკომოვაჭრეები ოკეანეში კოკაინით დაცურავდნენ

კოლუმბიის სანაპიროსთან ჩაძირული გემის წევრები, რომლებსაც ნარკოტიკები გადაჰქონდათ, ჩაძირვას 1,2 ტონა კოკაინით სავსე წყალგაუმტარმა პარკებმა გადაარჩინეს.

კოლუმბიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებმა ოკეანეში ქალაქ ტუმაკოდან 55 კილომეტრში სამი მამაკაცი აღმოაჩინეს. მათი თქმით, მათი ნავი დიდმა ტალღამ ჩაძირა, რის შემდეგაც მათ დაახლოებით სამი საათი წყნარ ოკეანეში გაატარეს და რომ არ ჩაძირულიყვნენ, ნარკოტიკებით სავსე შავ პაკეტებს იყენებდნენ.

ნარკომოვაჭრეები გემზე აიყვანეს და პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. პოლიციამ შავი პაკეტები დაათვალიერა და მათში 1,2 ტონა კოკაინი აღმოაჩინა. მამაკაცები მაშინვე პატიმრობაში აიყვანეს. ადგილობრივი პრესის ცნობით, ისინი ნარკოტიკებით ვაჭრობაში არიან ეჭვმიტანილები.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთი ადამიანი ჩაძირული გემიდან უკვალოდ გაქრა. მიმდინარეობს მისი სამძებრო სამუშაოები.

პიტბულმა ბავშვები საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა

ამერიკის ფლორიდის შტატში 9 თვის პიტბულმა, სახელად ზევსმა ორი ბავშვი შხამიანი გველის დაკბენისგან გადაარჩინა, თავად კი დაიღუპა.

ჯინა რიჩარდსონის თქმით, ძაღლი ეზოში მოულოდნელად რაღაცას დაესხა თავს იმ დროს, როდესაც მისი 10 წლის შვილი ორაილი იქვე თამაშობდა. ბიჭმა იფიქრა, რომ ის თოკი იყო, თუმცა ლეკვი მასთან ახლოს არ უშვებდა. ამ დროს მისი უფროსი ძმა, 11 წლის ორიონი ჩავიდა ეზოში ძაღლისთვის წყლის დასასხმელად. მოულოდნელად ზევსი მიწაზე მუცლით გაწვა და ფეხზე არ დგებოდა.

როდესაც ბიჭმა ძაღლი გადაატრიალა, მის ქვეშ გველი დაინახა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს შხამიანი მარჯნის გველი იყო, რომელმაც ძაღლს ოთხჯერ უკბინა. ამის შემდეგ კი ზევსმა მას თავი მოაჭამა. ძაღლი ვეტერინარულ საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც მას შხამის საწინააღმდეგო წამალი გაუკეთეს, მაგრამ წამალმა მოქმედება ვეღარ მოასწრო. ზევსი მეორე დღეს, ორაილის დაბადების დღეს მოკვდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დემნა გვასალია: „ფული ჩემთვის მნიშვნელოვანია“

„ბალენსიაგას“ მოდის სახლის კრეატიული დირექტორი დემნა გვასალია არ მალავს, რომ მისთვის ფული მნიშვნელოვანია, ამიტომაც ის არ კერავს სამოსს, რომელიც მუზეუმების ნიმუშებს ჰგავს. ის ქმნის კოლექციებს, რომლებიც ელვის სისწრაფით იყიდება და მას დიდ მოგებას აძლევს.

– არ მოვიტყუები, ფული ჩემთვის მნიშვნელოვანია. არის ხალხი, ვინც მუზეუმის ნიმუშებს კერავს. მე არ მაინტერესებს მოდა, რომელსაც მუზეუმში კიდებენ. კომერციული დიზაინერი ვარ. არ აქვს მნიშვნელობა, კოლექცია დედაჩემზეა, საქართველოზე თუ ჩემს სიყვარულზე. მე კაბებსა და შარვლებს იმიტომ ვაკეთებ, რომ დღის ბოლოს კარგად უნდა გაიყიდოს.

რა თქმა უნდა, კომერციული მიზანი მაქვს, მაგრამ ყველა პროდუქტს, რომელსაც გამოვუშვებ, ისტორია უნდა ჰქონდეს. სხვა შემთხვევაში მას აზრი ეკარგება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბასილაშვილმა პეკინის ქულები ვერ დაიცვა

ნიკოლოზ ბასილაშვილმა პეკინის ტურნირზე ჩემპიონის სტატუსის დაცვა გუიდო პელას დამარცხებით დაიწყო, მაგრამ მე-2 წრეშივე დაასრულა გამოსვლა და ახლა რეიტინგში სოლიდური ვარდნა ელოდება.

ბასილაშვილი პეკინში მსოფლიოს მე-7 ჩოგან სტეფანოს ციციპასს დაუპირისპირდა და 3 სეტში 6:4, 3:6, 2:6 დამარცხდა.

ბასილაშვილმა პირველივე სეტის პირველივე გეიმში ბრეიკი გაახერხა და შემდეგ მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

მე-2 სეტიდან ბერძენი უკეთესად ათამაშდა, ხოლო ბასილაშვილმა შეცდომებს უმატა. ჩვენებურმა მე-2 სეტის მე-4 გეიმში 3 ორმაგი შეცდომა დაუშვა და ფაქტობრივად, სეტის წაგებად დაუჯდა.

არანაკლებ ცუდად გამოიყურებოდა მე-3 სეტში და ისევ საკუთარი შეცდომებით წააგო.

ამ მარცხის შემდეგ აქამდე მე-17 ჩოგანი ბასილაშვილი განახლებულ რეიტინგში, დიდი ალბათობით, 26-ე ჩოგანი გახდება.

თბილისის დინამომ დედაქალაქური დერბი მოიგო

დინამო (თბ)-საბუჩითალო 2:1

თბილისი. დინამო არენა

0:1 კოხრეიძე (42), 1:1, 2:1 ნინუა (69, 75)

დინამო: პერალესი, მონხილი, კობოური, ქიმაძე, იაშვილი, კაპლიენკო, დაფე (შულაია 87), პაპავა, ნინუა, შიშკა (ზარია 50), კარიკარი (მჭედლიძე 90)

საბურთალო: კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, სანდოხაძე, ტაბატაძე (ლაკვეხელიანი 58), რეხვიაშვილი, დიასამიძე, ტერა (როლოვიჩი 77), ალთუნაშვილი, კოხრეიძე (ჩაბრაძე 66), გაბედავა

გაძევება: სანდოხაძე (67)

პრინციპული შეხვედრის დაწყებამდე ფეხბურთელებმა და სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივარმა წუთიერი დუმილით ლეგენდარული კომპოზიტორის გია ყანჩელის ხსოვნას პატივი მიაგო.

აღსანიშნავია, რომ დინამოელები სოლიდური დანაკლისით შეხვდნენ ამ მატჩს. გუნდს ტრავმების გამო ბაქარ ქარდავა, გიორგი კუხიანიძე და ლევან კუტალია აკლდა, დისკვალიფიკაციის გამო კი ნოდარ ქავთარაძე ტოვებდა შეხვედრას.

მატჩის პირველი ნახევარი სტუმართათვის საკმაოდ კარგად მიდიოდა. გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა რამდენიმე ძალიან სახიფათო მომენტი შექმნა, თუმცა მასპინძელთა გოლკიპერი ხოსე პერალესი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ტაიმის მიწურულს გიორგი კოხრეიძის დარტყმულის წინაშე ესპანელი მეკარე უძლური იყო და საბურთალოს ანგარიში გახსნა.

შეხვედრის მე-2 ნახევარიც სტუმრებმა დამაჯერებლად დაიწყეს, მაგრამ თამაშის სცენარი 67-ე წუთიდან რადიკალურად შეიცვალა. მატჩის მთავარმა არბიტრმა მოედნიდან საბურთალოს ფეხბურთელი ნიკა სანდოხაძე გააძევა, ხოლო მასპინძელთა სასარგებლოდ დანიშნული ჯარიმა ნიკა ნინუამ გოლად აქცია და ანგარიშში წონასწორობა აღადგინა.

75-ე წუთზე სტუმართა კარში გიორგი ზარიას წაქცევის გამო თერმეტმეტრიანი დარტყმა დაინიშნა, პენალტი გოლად ნიკა ნინუამ აქცია, დუბლი გაიფორმა და მასპინძლები დააწინაურა.

მატჩის ბოლოსკენ ლურჯ-თეთრების რიგებში ლევან მჭედლიძის დებიუტი შედგა. დინამომ შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა და მნიშვნელოვანი ქულები მოიპოვა.

დედაქალაქელები 15 მატჩია, არ დამარცხებულან. ამ შეხვედრებიდან დინამომ 13-ჯერ იმარჯვა.

სატუჩნიო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	29	19	4	6	61-27	61
2.დინამო (ბთ)	29	19	4	6	50-24	61
3.საბურთალო	29	16	6	7	51-31	54
4.ტორპედო	29	11	7	11	48-43	40
5.ლოკომოტივი	29	11	4	14	34-42	37
6.დილა	29	9	7	13	30-38	34
7.რუსთავი	29	8	10	11	32-42	34
8.ჩიხურა	29	7	11	11	35-35	32
9.სიონი	29	8	7	14	32-65	31
10.ვიტ ჯორჯია	29	4	6	19	12-38	18

საქართველო ფიჯისთან შერცხვა

საქართველო-ფიჯი 10:45

მფრინავმა ფიჯელებმა დასკვნით 20 წუთში 4 უპასუხო ლელო გაიტანეს და 2019 წლის მე-3 მატჩში, ბორჯღალოსნებთან 45:10 იმარჯვეს.

სამწუხაროდ, ფიჯის ნაკრებს უპირატესობა ყველა კომპონენტში ჰქონდა, რაც ბოლო მეოთხედში თვალსაჩინო გახდა. კუნძულელები გვჯობდნენ ყველაფერი – დისციპლინაში, ხელით თამაშში, მოლში, რაქში, შერკინებაშიც კი...

ჩვენმა ნაკრებმა, ფაქტობრივად, ჯგუფში მე-3 ადგილის დაკავების შანსი დაკარგა, რაც მომდევნო მსოფლიო თასის საგზურს ავტომატურად იძლეოდა.

ფიჯისთან მარცხის გამო ბორჯღალოსნები მსოფლიო რაგბის რეიტინგში 3 ადგილითაც დაქვეითდნენ და ახლა მე-14 ადგილზე არიან. საქართველოს რაგბის ნაკრებს 3,79 სარეიტინგო ქულა დააკლდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფიჯის, იტალიისა და აშშ-ის ნაკრებებმა გადაასწრეს.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო თასზე მომდევნო და ბოლო მატჩს ავსტრალიის ნაკრების წინააღმდეგ 11 ოქტომბერს ჩაატარებს.

ლივერპულმა მძიმედ იმარჯვა, ნაპოლიმ წაიბორძიკა

ე ჯგუფი

ლივერპული. ენფილდი

ლივერპული-ზალცბურგი 4:3

1:0 მანე (9), 2:0 რობერტსონი (25), 3:0 სალაჰი (36), 3:1 ჰვანგი (39), 3:2 მინამინო (56), 3:3 ჰოლანდი (60), 4:3 სალაჰი (69)

სადიო მანეს, ენდრიუ რობერტსონისა და მოჰამედ სალაჰის გოლებით ლივერპული სოლიდურად დაწინაურდა და, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ინგლისური გრანდი 3 ქულას იოლად მოიპოვებდა.

თუმცა, ასე არ ფიქრობდნენ ავსტრიელები, რომელთაც სასწაულამდე ძალიან ცოტა დააკლდათ – ზალცბურგმა მე-60 წუთისთვის ანგარიში გაათანაბრა – 3:3! ავსტრიელებს მაინც არ ეწერა ინგლისიდან ქულის წაღება – სალაჰმა დუბლი შეასრულა და ლივერპულმა მძიმე გამარჯვება მოიპოვა.

ლივერპულმა უკანასკნელად ჩემპიონთა ლიგაზე „ენფილდზე“ 3 გოლი 2014 წლის 22 ოქტომბერს გაუშვა, როდესაც რეალთან 0:3 წააგო.

გენკი-ნაპოლი 0:0

გენკი. ლუმინუს არენა

ჯგუფს ნაპოლი ლიდერობს. კარლო ანჩელოტის გუნდი გენკთან უპირატესობას ფლობდა, ორჯერ არკადიუშ მილიკმა ხარიხას გაარტყა, ერთხელ ხოსე კალეხონმა – ძელს, მაგრამ გოლი არ გავიდა. თავის მხრივ, უსაქმოდ არც ნეაპოლელთა მეკარე ალექს მერეტი ყოფილა, რომელმაც 2-ჯერ გადაარჩინა აშკარა გოლს თავისიანები.

2 ტურის თავზე კი, ნაპოლი 4 ქულით ლიდერია, ლივერპულსა და ზალცბურგს 3-3 ქულა აქვთ, ხოლო გენკი ქულით ბოლო ადგილზეა.

ფ ჯგუფი

ბარსელონა. კამპ ნოუ

0:1 მარტინესი (2), 1:1, სუარესი (58, 85)

ბარსელონამ ჩემპიონთა ლიგაზე 250-ე შეხვედრა ჩაატარა და მძიმე ბრძოლაში 2:1 გაიმარჯვა კიდეც.

მილანელები სწრაფადვე, მე-3 წუთზე დაწინაურდნენ, როდესაც ჩინებული კომბინაცია ლაუტარო მარტინესმა გოლით დაასრულა. ბარსა ამ მატჩში კიდევ გაუშვებდა, რომ არა მარკ-ანდრე ტერ შტეგენი, რომელიც ჩინებულად ირჯებოდა. საერთოდ, პირველ ტაიმში ანტონიო კონტეს გუნდმა დიდებული ფეხბურთი ითამაშა და მეორე გოლთან ახლოს არაერთხელ იყო. საპასუხოდ, კატალონიელები ინერტული თამაშით გამოირჩეოდნენ.

თუმცა, მე-2 ნახევარში ყველაფერი შეიცვალა. შედეგად, მალევე ლუის სუარესმა შესანიშნავი გოლი გაიტანა. 84-ე წუთზე კი უკვე ლიონელ მესი იყო ფანტასტიკური, რომელმაც რამდენიმე მეტოქეს აუარა გვერდი და სუარესი მოძებნა. ურუგვაველს ისღა დარჩენოდა, დუბლი შეესრულებინა.

სლავია-დოხტმუნდი 0:2

პრაღა. სინოგო

0:1, 0:2 ჰაკიმი (35, 89)

დორტმუნდმა მშვიდად, აუღელვებლად ითამაშა და პრაღაში მეიმარ სლავიას აჩრაფ ჰაკიმის დუბლით მოუგო.

შედეგად, ბარსელონა და დორტმუნდი 4 ქულით ლიდერობას იყოფენ, ხოლო ინტერისა და სლავიას მონაგარი ჯერჯერობით ერთმანეთში მოპოვებული ქულაა.

ჯ ჯგუფი

ლაიპციგი-ლიონი 0:2

ლაიპციგი. რედ ბული

0:1 დეპაი (11), 0:2 ტერე (65)

მიუხედავად იმისა, რომ მატჩის ფავორიტად ლაიფციგი ითვლებოდა, ლიონმა ნერვიულობის გარეშე მოიგო. ლაიფციგს აშკარად ეტყობა, რომ ჯერ ასეთი ტურნირებისთვის არ არის მზად.

გოლები დეპაიმ და ტერემ გაიტანეს და ლიონს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანეს.

ზენიტი-ბენფიკა 3:1

სანქტ-პეტერბურგი. გაზპრომ არენა

1:0 ძიუბა (21), 2:0 დიასი (70), 3:0 აზმუნი (78), 3:1 დე ტომასი (85)

ისეთი ჯგუფია, ვინ სად მოიგებს და ჯგუფიდან ვინ გავა, ვერავინ გაიგებს. ზენიტმა დამაჯერებლად მოუგო ბენფიკას, რომელის მცირე ფავორიტის სტატუსით ჩავიდა რუსეთში. თუმცა, მასპინძლებმა 3 ქულა აიღეს და ლიონთან (4-4 ქულა) ერთად ჯგუფს ლიდერობენ. ლაიფციგს 3 ქულა აქვს, ბენფიკას ჯერ არ მოუპოვებია.

ჰ ჯგუფი

ლილი-ჩელსი 1:2

ლილი. პიერ მორუა

0:1 აბრაჰამი (22), 1:1 ოსიმჰენი (33), 1:2 ვილიანი (78)

ლონდონის ჩელსიმ პირველი თამაში მოიგო, მაგრამ ინგლისურ გუნდს საფრანგეთში იოლი გასეირნება ნამდვილად არ ჰქონია.

არისტოკრატები აბრაჰამმა დააწინაურა, რომელმაც ტურნირზე პირველი გოლი გაიტანა, თუმცა სტუმრებმა პირველივე ტაიმში გაათანაბრეს ანგარიში – ოსიმჰენმა 33-ე წუთზე შეაგდო.

78-ე წუთზე ვილიანმა, რომელმაც ჩელსიში მე-300 მატჩი ჩაატარა, გამარჯვების გოლი გაიტანა.

ვალენსია-აიაქსი 0:3

ვალენსია. მესტალია

0:1 ზიეში (8), 0:2 პრომესი (34), 0:3 ვან დე ბეკი (67)

აიაქსი ისევ აგრძელებს გულშემატკივართა გულის მოგებას. ამსტერდამელებმა ამჯერად მინისპექტაკლი ვალენსიაში დადგეს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს.

აიაქსი 6 ქულით ჯგუფის ლიდერია. ჩელსისა და ვალენსიას 3-3 ქულა აქვთ, ხოლო ლილი უქულოდ ხურავს ცხრილს.

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

შედეგები

2 ოქტომბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

სლავია-დორტმუნდი	0:2
ვალენსია-აიაქსი	0:3
ლილი-ჩელსი	1:2
ლაიფციგი-ლიონი	0:2
ზენიტი-ბენფიკა	3:1
ბარსელონა-ინტერი	2:1
ლივერპული-ზალცბურგი	4:3
გენკი-ნაპოლი	0:0

რაგბი

მსოფლიო თასი

საქართველო-ფიჯი	10:45
ირლანდია-რუსეთი	35:0

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 2. ჭადრაკის პარტიის დაბოლოება; 3. ქართველი თეატრალური მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 4. რამე ნაგებობის ლითონის ან ხის ჩონჩხი; 5. კაცთმოძულე ადამიანი; 10. დამჟავებული ბოსტნეული; 11. კეთილმოწყობილი საყოფაცხოვრებო პირობების ერთობლიობა; 12. საუზმე სადილსა და ვახშამს შორის; 13. ყველაზე დიდი ქალაქი სიცილიაში; 16. ქალისადმი მიძღვნილი ძველებური პატარა ლირიკული ლექსი; 17. სამხედრო ნაწილის მღვდელი; 19. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 21. იაპონური ავტომობილი; 23. ბაღჩეული ხილი.

თარაზულად: 6. ნაღვლიანი, სევდიანი განწყობილება; 7. ვირტუოზი ესპანელი ვიოლონჩელისტი; 8. ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველი; 9. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 14. შექსპირის ნაწარმოებთა ქართულად მთარგმნელი; 15. პოლონელი ექიმი, ხელოვნური საერთაშორისო ენა – ესპერანტოს შემქმნელი; 18. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 20. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული; 22. უნგრული არმიის ძველი სახელწოდება; 24. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 25. ბულვარული ჟურნალ-გაზეთების საერთო სახელწოდება; 26. უზენაესი სასამართლო თურქეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰუმუსი; 2. რალი; 3. არბიტრაჟი; 4. უნაბი; 5. დიადორა; 8. ვადუცი; 9. ბალახვანი; 12. ფესახი; 14. ბითაძე; 16. იჯარა.

თარაზულად: 1. ჰიპოკრატე; 6. კრიჟანგი; 7. მაყვალი; 9. ბრაილი; 10. პინო; 11. სუფრული; 13. ნუბია; 15. თეზისი; 17. თიანეთი; 18. კაპელა; 20. ბარიერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სანჩესი; 2. წყალტუბო; 3. ასტრონომი; 4. წირქოლი; 5. მენდელსონი; 10. ბასტრი; 11. სინტაქსი; 12. რაზდანი; 13. კოსტავა; 16. ბარისტერი; 17. სალივანი; 19. აფხაზეთი; 21. იუანი; 23. შორტი.

თარაზულად: 6. სარწყუნისი; 7. ნიორაძე; 8. ბერეტა; 9. ბოტაფოგო; 14. სომბრერო; 15. ყიზილბაში; 18. ტოსკა; 20. ჭანჭური; 22. იაშვილი; 24. ტუნიკა; 25. გენლაინი; 26. მატანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9700

ევრო — 3.2536

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6507

100 რუსული რუბლი — 4.5513

ამინდის პროგნოზი 4 ოქტომბერი

1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე
ტჩეული ნოველები

ორტომეული
ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

8 ოქტომბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის
თამარს უამბო დედამ
წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

5 ნოემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის
ბაზალეთისა ტბის ძირას
წიგნი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ანეკდოტი

ქალი ბავშვთან ერთად ბანკომატთან მივა, საკრედიტო ბარათს ბანკომატში მოათავსებს და ფულს მიიღებს. თვალებგაფართოებული ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, იქ რა, მამიკო ზის?

•••

ძილ-ბურანში მყოფი ცოლი ქმარს ეკითხება:

– სად მიდიხარ ამ შუაღამისას?

– სამზარეულოში, ვნახავ, შუქი ხომ არ დარჩა ანთებული...

– ერთი ნაჭერი ჩემთვისაც გამოაყოლე.

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– როგორ გაგიმართლა ქმარში, სოლიდურია, ზედმეტად ხმას არ ამოიღებს...

– მეოთხედ დაქორწინდა და, რაც სათქმელი ჰქონდა, წინა ცოლებს უთხრა.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– აი, ამბობენ, რომ მამაკაცი ქალზე უფრო ჭკვიანია, თუმცა ჩვენს შემთხვევაში – არა, სკოლაში შენზე კარგად ვსწავლობდი, უფრო მეტი ცოდნა მივიღე, ფულსაც შენზე მეტს გამოვიმუშავებ... აბა, ამაზე რას იტყვი?

– და მაინც მე უფრო ჭკვიანი ვარ.

– რატომ ვითომ?

– იღბლიანი ქორწინება გამომივიდა...

•••

ქალი კაცს ეუბნება:

– შენ მეორე ჩემნაირს ვეღარ იპოვი.

– შენნაირის მოძებნას აღარც ვაპირებ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გია ყანჩელს რუსთაველის თეატრიდან გამოასვენებენ



კომპოზიტორ გია ყანჩელთან გამომშვიდობება მსურველებს რუსთაველის თეატრში შეეძლებათ.

რუსთაველის თეატრთან და მის სამხატვრო ხელმძღვანელ რობერტ სტურუასთან 84 წლის ასაკში გარდაცვლილ კომპოზიტორს მთელი ცხოვრება აკავშირებდა. მისი მუსიკა ჟღერს სტურუას თითქმის ყველა სპექტაკლში, რომელიც რეჟისორს დაუდგამს.

რობერტ სტურუა:

– საქართველომ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა დიდი კომპოზიტორი გია ყანჩელი. მან შექმნა მუსიკა, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. გია ყანჩელმა სამართლიანად დაიკავა ადგილი მსოფლიოს უდიდეს კომპოზიტორთა შორის.

განსაკუთრებულია ყანჩელის როლი რუსთაველის თეატრის აღორძინებაში. ყანჩელთან თანამშრომლობამ არნახული წარმატება მოუტანა ქართულ თეატრს მთელ მსოფლიოში. რომ არა გია ყანჩელის მუსიკა, ალბათ „კავკასიურ ცარცის წრეს“, „რიჩარდ III-ს“, „მეფე ლირს“, „მაკბეტს“, „მეთორმეტე ღამეს“, „ჰამლეტს“, „ლამარას“, „სტიქსს“ და სხვ. არ ექნებოდა ასეთი დიდი აღიარება.

ქართველი ხალხი არასდროს დაივიწყებს თავის სასიქადულო შვილს. გია ყანჩელის სახელი სამუდამოდ ჩაიწერა ქართული ხელოვნების ისტორიაში.

ამიტომაც სიმბოლურია, რომ 5 ოქტომბერს კომპოზიტორს უკანასკნელ გზაზე სწორედ რუსთაველის თეატრიდან გააცილებენ და დიდუბის პანთეონში დაკრძალავენ.

5 ოქტომბრის „თბილისობის“ გალაკონცერტი „მე ვარ თბილისი“ გია ყანჩელის ხსოვნას მიეძღვნება. ამავე დღეს მოხდება საპატიო თბილისელების დაჯილდოება.

„ნიკა არაბიძის შოუს“ პირველი გადაცემა 4 ოქტომბერს გავა

იუმორისტ ნიკა არაბიძის შოუ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში 4 ოქტომბერს ეთერში პირველად გავა. გადაცემა ზუსტად იმ დღეს და ზუსტად იმ დროს დაიწყება, როდესაც მთავარ არხზე ვანოს შოუ გადის – პარასკევს, 22 საათზე.

ნიკა არაბიძის შოუს პირველი გადაცემის ვიდეორგოლი ინტერნეტში უკვე გავრცელდა და მას მაყურებლები წარმატებას უსურვებენ, თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც ნიკას „რუსთავი 2“-ში დარჩენის გამო აკრიტიკებენ.

„ახალი შაბათის შოუ“ „მთავარ არხზე“ იწყება

„მთავარ არხზე“ გადასული იუმორისტები მაყურებელს 5 ოქტომბრიდან „ახალ შაბათის შოუს“ შესთავაზებენ.

იუმორისტების გუნდს ძველი სახეებიც დაემატნენ. თეიმურაზ პატარიძე და გიორგი გოცირიძე ისევ ამ გუნდის წევრები არიან და ვასო ფხაკაძესთან, თათია სულუაშვილთან, ვანო ჯავახიშვილთან, თამარ ღეკვეიშვილთან, ნიკა გრიგოლიასთან, მიშა ცინცაძესთან და სხვა იუმორისტებთან ერთად მაყურებელს ახალ იუმორისტულ სკეტჩებს ყოველ შაბათს წარუდგენენ.

რეალი ზამთარში კრისტიან ერიქსენის ყიდვას აპირებს

მადრიდის რეალი ზამთარში ახალი ნახევარმცველის დამატებას აპირებს და ეს ნახევარმცველი, სავარაუდოდ, კრისტიან ერიქსენი იქნება.

რეალს დიდი ხანია, ერიქსენის შეძენა სურს, თუმცა აქამდე ტოტენჰემს მისი გაშვება არ სურდა, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა, რადგან ერიქსენს ტოტენჰემთან კონტრაქტი უმთავრდება და ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს, ამიტომ ტოტენჰემმა ის ზამთარში უნდა გაყიდოს.

მადრიდელები, სავარაუდოდ, 50 მილიონს გადაიხდიან.

ინტერესი იუვენტუსი ნგოლო კანტეთი დაინტერესდა

ტურინის იუვენტუსი ახალი ნახევარმცველით გაძლიერებას აპირებს. მაურისიო სარიმ თავისი არჩევანი ნგოლო კანტეზე შეაჩერა.

კანტე თავის პოზიციაზე ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება და სარიმ ეს კარგად იცის, რადგან შარშან ის ჩელსის მწვრთნელი იყო.

ჩელსი კანტეს 120 მილიონად აფასებს და უფრო ნაკლებად მის გაყიდვას არ აპირებს. იუვენტუსი შეეცდება, ლონდონელებთან მოლაპარაკებები გამართოს და ფასი დააწევინოს.

ტერ შტეგენმა სუარესი შეაქო

ბარსელონის მეკარე მარკ ანდრე ტერ შტეგენმა ინტერთან გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა ეს შედეგი დაიმსახურა.

ტერ შტეგენმა ლუის სუარესზეც ისაუბრა და თქვა, რომ სუარესმა კრიტიკოსებს ღირსეულად უპასუხა თავისი გოლებით:

– კრიტიკა ყოველთვის ადვილია, მაგრამ მოედანზე ფეხბურთელები თავიანთ საქმეს აკეთებენ. სუარესმა ორი ლამაზი გოლი გაიტანა, რის წყალობითაც გავიმარჯვეთ და მან ქება დაიმსახურა. მიხარია, რომ მესიმ ტრავმა მოირჩინა, რადგან მასთან ერთად წარმატების მიღწევა გაცილებით იოლია.

ტიბო კურტუამ რეალის ვარჯიში გამოტოვა

მადრიდის რეალის მეკარე ტიბო კურტუამ გუნდის ვარჯიში გამოტოვა და ამის სავარაუდო მიზეზი მისი ავადმყოფობაა.

ბრიუგესთან მატჩის დროს კურტუამ მუცელში ტკივილი იგრძნო და სწორედ ამის გამო ის მეორე ტაიმში მოედანზე აღარ გამოვიდა. კურტუა, სავარაუდოდ, რამდენიმე დღე არ ივარჯიშებს და, შესაძლოა, მან გრანადასთან მატჩიც გამოტოვოს, რომელიც 5 ოქტომბერს გაიმართება.

გრანადა ამჟამად მეორე ადგილზეა და ერთმანეთს სატურნირო ცხრილის ლიდერები დაუპირისპირდებიან.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

4 ოქტომბრისათვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა კოლექტიური მუშაობისათვის, ასევე აქტიური დასვენებისა და სუფთა ჰაერზე გასეირნებისათვის, ფიზიკური დატვირთვისათვის. ახლო ნათესავების პრობლემების მოგვარება, სავარაუდოდ, თქვენ დაგეკისრებათ. **კურო** – წადით საყიდლებზე. ვარსკვლავები გწყალობენ. ფულს შოულობთ. **ტყუპები** – დაბნეულობისა და საკუთარი რწმენის უქონლობის გამო მცირე გაუგებრობაში აღმოჩნდებით. მომავალი თამამად დაგეგმეთ. **კირჩხიბი** – დღეს საშუალება გეძლევათ, პირად ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემები წარმატებით მოაგვაროთ. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ლომი** – პარტნიორის მიმართ მეტი ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინეთ. თქვენი მეგობრული ურთიერთობა გრძნობების სიღრმეს სულაც არ ნიშნავს. **ქალწული** – დაქვეითებული სასიცოცხლო პოტენციალი თქვენს შრომისუნარიანობაზეც აისახება. გამორიცხული არ არის მცირე გაუგებრობა. **სასწორი** – საყიდლებზე წასასვლელად, ძვირფასი ნივთების შესაძენად კეთილისმყოფელი დღეა. ენერგიულად ხართ და ეს თქვენი შრომის შედეგზეც აისახება. **ღრიანკალი** – ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად შესაფერისი პერიოდია, თუმცა საამისოდ საკმაო სულიერი და მატერიალური ძალისხმევა დაგჭირდებათ. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. გარისკვას წარმატება მოჰყვება. სამსახურში წინსვლა გელით. **თხის რქა** – დღის განრიგი წინასწარვე შეადგინეთ, რათა მოულოდნელად გაუგებრობამ არ იჩინოს თავი. დაქვეითებული სასიცოცხლო პოტენციალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში ხელს შეგიშლით. **მერწყული** – სიყვარულში წარმატება გელით. ოჯახური ურთიერთობა ჰარმონიულია. ქალებს ახალი საინტერესო ნაცნობობა ცხოვრებას გაგიხალისებთ. **თევზები** – წარუმატებლობა მალევე დაივიწყეთ. რეკომენდებულია აქტიური დასვენება. პროფესიონალური პრობლემები დროებით გვერდზე გადადეთ და თავს მოდუნების საშუალება მიეცით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ১



შვეულად: 1. ქართველ პოეტ ნიკო რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 2. ფულის საერთაშორისო ერთეული; 3. ცრუ დაპირებებით მასებზე გავლენის მოხდენის მცდელობა; 4. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 5. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 8. ვულკანი იტალიაში; 9. ბელგიაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 12. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 14. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 16. მოხარშული ზეთი საღებავებისა და ლაქების დასამზადებლად.

თარაზულად: 1. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 6. დედამიწის ფორმებისა და ზომების შემსწავლელი მეცნიერება; 7. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძნიანი ვაზის ქართული ჯიში; 9. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 10. ერთგულების მტკიცე პირობა; 11. ეკიპაჟის საცხოვრებელი სათავსო გემზე; 13. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 15. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 17. სამხაზველო ხელსაწყო; 20. კახეთში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ფრანგული ჯიში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა